



ახს-ს მშვიდობის კორპუსი საქართველოში ინყებს სკოლების განაცხადების მიღებას 2020-2022 წლებში

Peace Corps მოხალისეთან თანამშრომლობისთვის

მშვიდობის კორპუსის მოხალისეები, ცხრაგობი წელია, წარმატებით ასრულებენ განათლების პროექტს საქართველოში რეგიონებში. კონკურსში მონაწილე სკოლები ამერიკელი ინგლისური ენის მასწავლებლებთან იმუშავენ 2020-2022 სასწავლო წლებში, ინგლისური ენის ცოდნის დონისა და სასწავლო პრაქტიკის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საჯარო სკოლებს შვილები რეგიონებში: კახეთი (ახმეტის ჩრდილოეთით მდებარე სოფლების გარდა), მცხეთა-მთიანეთი (გუდაურის ჩრდილოეთით განლაგებული დასახლებების გარდა), ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, გურია, იმერეთი, სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი. კონკურსში მონაწილეობა არ შეუძლიათ იმ სოფლებსა და ქალაქებს სკოლებს,

რომლებიც მდებარეობენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის ხუთკილომეტრიან ზოლში.

თუ თქვენი სკოლა მდებარეობს ჩამოთვლილი რეგიონებთან ერთ-ერთში, ინგლისური ენის მინიმალური საათობრივი გადამხარჯის 24 საათს და დაინტერესებული ხართ მოხალისეთან თანამშრომლობით 2020-2022 აკადემიურ წლებში, აპლიკაცია მოითხოვთ ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრში ან მოიძიეთ ჩვენს ვებგვერდზე:

<https://www.peacecorps.gov/georgia/ask-for-a-volunteer/>

შეავსეთ და მოგვარდეთ მშვიდობის კორპუსის ოფისში, მისამართზე: ვაჟა-ფშაველას გამზირი № 29ა, თბილისი, 0160, ან გამოგვიგზავნეთ ელექტრონული ფოსტით, მისამართზე:

education@ge.peacecorps.gov

მოხალისის მოთხოვნის შევსებული ფორმის ჩაბარების ბოლო ვადაა 21 ოქტომბერი, 2019 წელი

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

- ✓ **ასმათ სინარულია**
განათლების პროგრამის ხელმძღვანელი
ტელ: 595906444;
- ✓ **თეო ნეფარიძე**
განათლების პროგრამის ხელმძღვანელი
ტელ: 591969881;

- ✓ **ია გელაშვილი**
განათლების პროგრამის ხელმძღვანელი
ტელ: 595950406;
- ✓ **ნინო ფიროსმანიშვილი**
პროგრამის და ტრენინგების სპეციალისტი
ტელ: 595027979.

მიაღწევთ თვალი ჩვენს ფინსუქპვერდს: **Peace Corps Georgia**

STEM მიმართულება სკოლაში

რეალურ-ვირტუალური ლაბორატორია – კეთილშობილური სწავლების უნიკალური შესაძლებლობა

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული განვითარების ცენტრმა, მიმდინარე წლის იანვრიდან, საბუნებისმეტყველო საგნების მხარდაჭერის პროგრამა დაიწყო, რომელიც აქცენტს აკეთებს სამ მიმართულებაზე: გააქტივებს პროექტის ფარგლებში, სკოლებში საპილოტო რეჟიმში ამოქმედდება დავით სონღუ-ლაშვილის პროგრამა „რეალურ-ვირტუალური ლაბორატორია“, რომელიც მასწავლებლებს დაეხმარება, სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენონ მცნიერულ კვლევებზე დაფუძნებული სასწავლო მეთოდები და მათი დახმარებით, მოსწავლე, ინდივიდუალური ინტერესებისა და ასაკის გათვალისწინებით, პრაქტიკულ სამეცნიერო კვლევა-ძიების პროცესში ჩართოს; ცენტრში იმუშავენ მინი-ლაბორატორია (სახელოსნო) „ჩხიჩხი-დელა“ – დამატებითი სივრცე, სადაც მასწავლებლები, მოსწავლეებთან ერთად, ცოდნის გადამცემებს და უნარ-ჩვევების განვითარებას

გას შეძლებენ და საბუნებისმეტყველო ტრენინგი – გუნდური შეჯიბრი STEM მიმართულების საგნებში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია), რომელიც, ამავე დროს, კვლევებში ტექნოლოგიების გამოყენებისა და ინჟინერიის სწავლის მოიცავს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების მხარდაჭერის პროგრამის მენეჯერი კახა ჭლენტი, ლაბორატორიის ხელმძღვანელი ნუზარ მუსულიშვილი და პროგრამის კოორდინატორი მანა ნაკაშიძე – ის ჯგუფია, რომელიც მასწავლებლებს ხელს შეუწყობს პროექტის გააფორმებაში მთავარი მიზნის მიღწევაში – საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების ხარისხის ზრდას საბაზო საფეხურზე, მაღალი დონის სასწავლო პრაქტიკული კვლევების ჩატარებისა და მაღალტექნოლოგიური ციფრული რესურსის გამოყენებით.

რაში მდგომარეობს რეალურ-ვირტუალური ლაბორატორიის უნიკალურობა, რა შედეგებს



ელიან მისი სკოლებში დანერგვით და რა როლს შეასრულებს „ჩხიჩხი-დელა“ მოსწავლეებისა და მასწავლებლების STEM მიმართულებით განვითარებაში – ამ დეტალებზე გვესაუბრება პროგრამის მენეჯერი კახა ჭლენტი:

პროგრამის იდეა

ცენტრში, იანვრიდან, დაიწყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც სამი ძირითადი მიმართულებისგან შედგება. თუმცა, ვიდრე ამ მიმართულებებზე ვისაუბრებთ, მინდა აქცენტი სხვა რამეზე გავაკეთო. დღეს ყველანი ვსაუბრობთ STEM-ის პოპულარიზაციაზე და სინამდვილეში, სამსუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში რეალური STEM არ გვაქვს, რადგან ეს არ არის მხოლოდ ქიმია, ფიზიკა და ბიოლოგია, არამედ სამივე ერთად. და კიდევ, ამას დამატებული მათემატიკა და ინჟინერია – რეალურად ის ყველაფერი, რასაც ბავშვები ბუნებისმეტყველებაში სწავლობენ, მათ ხელში

უნდა გარდაიქმნას, რაც მთავარია, ინტეგრირებული უნდა იყოს მათემატიკური ცოდნა ინჟინერიის მხრიდან ციფრული ტექნოლოგიების ჩართვით. არც ერთ შემთხვევაში, არ უნდა იყოს დაშლილი და დაქუცმაცებული საგნებად, ცალკე 45 წუთებად, რადგან ერთიანი პროცესია. შესაბამისად, პროგრამის იდეაც, სწორედ აქედან გაჩნდა. თან, როცა ცენტრის დირექტორად ბატონი ბერიკა შუკაკიძე მოვიდა, მისი იდეა იყო შექმნილიყო STEM მიმართულების კლუბი რობოტექნიკის პროფილით და რომელიც საერთოდ, ციფრული ტექნოლოგიების სკოლაში შეტანაზე უფრო აქტიურად იმუშავედა. ეს არის ახალი სასწავლო გარემოს მოდელირება, რომელიც

დაეხმარება მოსწავლეს პრაქტიკული კვლევითი უნარების განვითარებაში.

რეალურ-ვირტუალური ლაბორატორიის უნიკალურობა

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციატივით, საქართველოს მასშტაბით, 5 საპილოტე სკოლაში, დავით სონღულაშვილის რეალურ-ვირტუალური საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები ამოქმედდება.

მართალი რომ გითხრათ, სონღულაშვილი, ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში, მოვლენა და ასეთ შესაძლებლობაზე სისტემამ უარი არ უნდა თქვას. რამდენიმე წელიწადია, რაც

მან უნიკალური რეალურ-ვირტუალური ლაბორატორია შექმნა და როგორ არ უნდა გამოვიყენოთ? სხვათა შორის, მის სახელს და გვარს ბუკის პროგრამებშიც შევხვდებით, უამრავი საბავშვო თამაშის ავტორია საბუნებისმეტყველო მიმართულებით და არა მხოლოდ.

როგორც გითხრათ, პროგრამას სამი მიმართულება აქვს, პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანია მცდელობა, საპილოტე სკოლებისთვის შევქმინოთ რეალურ-ვირტუალური ლაბორატორია. შევეცდები ავხსნა რა არის ეს ლაბორატორია. ზოგადად, ვირტუალური ლაბორატორიები ბევრია, როგორც კომპიუტერზე ჩანერილი, ასევე ონლაინ სივრცეში განთავსებული. მაგალითად, კოლორადოს უნი-

STEM მიმართულება სკოლაში

ვერსიტეტის ცნობილი ვირტუალური ლაბორატორიები, რომელსაც საკმაოდ ბევრი მასწავლებელი იყენებს. ბატონი დავითის ლაბორატორია სრულიად განსხვავებულია მათგან – რეალურია იმიტომ, რომ ის ინფორმაცია, რაც რეალური კვლევის ან ექსპერიმენტის დროს მუშავდება, ავტომატურად გადადის ციფრულ ფორმატში ისეთ პროგრამაში, რომელიც მის გარდასახვას – ვიზუალიზაციას აკეთებს. რაც მთავარია, მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, თვითონ ჩაატაროს სრულფასოვანი კვლევა. ამ პროცესში უმთავრესი ის არის, რომ ექსპერიმენტს, უბრალოდ, კომპიუტერის ეკრანზე კი არ ვხედავთ, არამედ რეალურად რასაც ვაკეთებთ, ეკრანზე ის ჩანს. ლაბორატორია საშუალებას აძლევს მოსწავლეს, პრაქტიკული რეალური ექსპერიმენტის დროს მიღებული მონაცემები ასახოს ვირტუალურ ლაბორატორიაში, გააანალიზოს შედეგები და გამოიტანოს სათანადო, მეცნიერულად არგუმენტირებული დასკვნები.

მთავარი მიზანი მოსწავლეებში კვლევის უნარების განვითარებაა. რეალურად, ჩვენი პრობლემაც ხომ ეს არის. ფიზიკას, ქიმიას და ბიოლოგიას ბავშვებს მხოლოდ სახელმძღვანელოებით ვასწავლით. არადა, საბუნებისმეტყველო მეცნიერების სწავლება მარტო სახელმძღვანელოებით შეუძლებელია. რა თქმა უნდა, ტესტისთვის სახელმძღვანელოთი კარგად მოემზადები, მაგრამ, სამწუხაროდ, საგანს ვერ გაიაზრებ, გემოს ვერ გაუგებ მეცნიერული კვლევის და აღმოჩენების „სასწაულს“.

ხშირად გვეხსიან, რომ, მაგალითად, ფიზიკა უინტერესო საგანია. სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ მას მხოლოდ თეორიულად ვსწავლობთ. იმისთვის, რომ საინტერესო გახადო, უნდა აკეთო, გამოიკვლიო, ბუნებაში ვახვიდე და პროცესებს დააკვირდე. ამიტომაც, ჩვენს მოსწავლეებს მკვლევრის უნარები ცუდად აქვთ განვითარებული, ტესტების შედეგებში წინსვლა აქვთ, მაგრამ ბუნებისმეტყველებაში დიდი ჩამორჩენაა. სწორედ ამიტომ მოიკოჭლებენ ჩვენი მოსწავლეები, თუნდაც, პრობლემაზე დაფუძნებული თეორიული ამოცანებისა და საფარჯიშოების შესრულებაში, თორემ, უამრავი ჩვენი მოსწავლე თუ სტუდენტი სუფთა თეორიულ ტესტებს გამოცდებზე წარმატებით აბარებს. შესაბამისად, პროექტში საკვანძო საკითხი სწორედ ეს გახლავთ. დღეს უკვე მივალნივით იმას, რომ ჯერჯერობით 5 საპილოტე სკოლისთვის შევიძინეთ რეალურ-ვირტუალური ლაბორატორიები – საჩხერის რაიონის სოფელ ნივგზარას საჯარო სკოლა, სურამის №2 საჯარო სკოლა, თბილისის 61-ე, 77-ე, მე-20 საჯარო სკოლები. გადაწყვეტილი, რომ სპეციალიზებული ფიზიკა-მათემატიკური სკოლების ჩართვას, უმჯობესია ჩვეულებრივი სკოლები ჩავერთო.

ჩვენი სურვილია, იანვრიდან, პროგრამა გაეფართოვოს, სავარაუდოდ, 20-30 სკოლა დავამატოთ, რადგან ერთბაშად ბევრ სკოლაში პროგრამის დანერგვა გაგიჭირდება. ამ ტიპის ინტერვენციების, ერთდროულად, ათასობით სკოლაში განხორციელება ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული, მათ შორის, ფინანსურ სირთულეებთან, ცენტრის ფინანსური შესაძლებლობებიც შეზღუდულია.

ასევე, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ინიციატივა სასკოლო კულტურამაც უნდა მიიღოს – საკლასო ოთახშიც უნდა ნახო როგორ გამოვა. თუ სათანადო გარემო არ შეექმნით, სკოლას, უბრალოდ, ვერ ეტყვი, რომ ასე ვაკეთებ! იმედს ვგაქვს, ბევრ სკოლას ავიყოლიებთ. უკვე დაგვიკავშირდა, დაახლოებით, ათამდე სკოლის დირექტორი, ისინი დაინტერესებული არიან ლაბორატორიის სკოლაში შეტანით.

რა ღირს ლაბორატორია

მესმის, რომ რესურსების თვალსაზრისით, იაფი სიამოვნება არ არის, რადგან ყველაფერს თავისი ტექნიკა და რესურსით აღჭურვა სჭირდება, მაგრამ, ჩვენ ახლა ვცდილობთ დავასაბუთოთ, რომ ეს ლაბორატორია არც ისე ძვირადღირებულია სკოლებისთვის, სხვა მიმართულებით დახარჯულ თანხებთან შედარებით. ვფიქრობთ, სკოლების ნაწილს, 2000-დან 1000 სკოლას მაინც, აქვს შესაძლებლობა, რომ მინიმალური დანახარჯებით ააწყოს სკოლაში მსგავსი ტიპის ლაბორატორიები.

ჩვენი გათვლით, რეალურ-ვირტუალური ლაბორატორიის სრული კომპლექტი სკოლას, დაახლოებით, 5 ათასიდან 7 ათასი ლარის ფარგლებში დაუფრდება. რაც შეეხება კლუბ „ჩხირკედელას“, მის ასანწყობად სკოლას დასჭირდება ოთახი და 2 ათასი ლარი, რომ კლუბმა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში იმუ-

შაოს. ვფიქრობ, ეს უფრო ხელმისაწვდომია. ოღონდ, ისევ გავიმეორებ, მთავარია, როგორ გამოიყენებს სკოლა/მასწავლებელი ამ რესურსს, თორემ, სკოლებში არის ხოლმე სახვე ლაბორატორიები უფუნქციოდ. განსაკუთრებით, კერძო სკოლებში მინახავს საოცარი ლაბორატორიები, მაგრამ კარადის გარეთ ხელსაწყო არ გამოდის. ეს არის რესურსი, რომელიც ბავშვს კი არ უნდა აჩვენო მხოლოდ, არამედ ამ რესურსით მან უნდა შექმნას და აკეთოს. აქედან გამომდინარე, მთავარი პრობლემა სკოლებში რესურსის არქონა კი არ არის, მთავარია, ვიპოვოთ ის ადამიანები, რომლებსაც აღმოაჩნდებათ სიმამაცე და ინიციატივა, კლასში კეთებით სწავლება და კვლევები დანერგონ.

მასწავლებელთა შერჩევა

რაც შეეხება მასწავლებლების შერჩევას, აქცენტი იმ აქტიურ ფიზიკის მასწავლებლებზე ვაკეთებთ, რომელთა მოსწავლეებიც ოლიმპიადებში მონაწილეობენ, ცენტრის ტრენინგებში არიან ჩართული, ქმნიან საინტერესო რესურსებს და გაკვეთილებს, ზოგიერთი ცერნშიც იყო... ასეთი მასწავლებლების შერჩევით გვინდა, თავიდან ავიცილოთ ფუჭად შრომა – შეიძლება სკოლაში შეიტანოთ ძვირადღირებული ტექნოლოგიები და სხვა რესურსები, მაგრამ მათი ადეკვატური გამოყენება არ მოხდეს. თუ ისევ გაგრძელდება მასწავლებელთა გაუთავებელი ჩივილი, რომ 45 წუთი საკმარისი არ არის, რომ მათ ისედაც უამრავი სხვა ვალდებულება აქვთ შესასრულებელი და ეს კიდევ უფრო ართულებს მათ საქმიანობას – ასეთი მასწავლებლების ჩართვით არაფერი გამოვა. ამ ტიპის ლაბორატორიის ამოქმედება ნამდვილად დამატებით შრომას მოითხოვს მასწავლებლისგან, მაგრამ მოსწავლეთა მოტივაცია მხოლოდ ამ გზით თუ გაიზარდება.

რა ეტაპზეა პროექტი

თითოეულ სკოლაში ათ-ათ კომპიუტერში ჩაინერა დავით სონღულაშვილის საავტორო პროგრამა (რადგან საავტოროა, ის დატოვდა უნებართვოდ გადაწერისგან). რეალურად, თვითონ ავტორმა დააინტაგრირა პროგრამა სკოლებში და, ხელშეკრულების საფუძველზე, დაახლოებით, სამი წლის განმავლობაში, თავად უზრუნველყოფს პროგრამის გამართულად მუშაობის პროცესს.

გასულ შაბათ-კვირას პილოტირებაში ჩართულ მასწავლებლებთან პირველი შეხვედრა/ტრენინგიც ჩატარა, შეიკარა რეალური კვლევის ხელსაწყობის კომპლექტები და მასწავლებლებმა წაიღეს სკოლებში. ახლა უნდა გადაიდგას ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი – გადავდივართ ეტაპზე, როცა მათთან ერთად უნდა დავგვემოთ თითოეული ექსპერიმენტი თუ სხვა ტიპის აქტივობა, რომელიც მასწავლებლებმა კონკრეტულ გაკვეთილს უნდა დაუკავშირონ. თუ ამ ტიპის აღჭურვილობა გარემოს – შენს საკლასო ოთახს არ მორატე, ბუნებრივია, არაფერი გამოგივა. ამიტომ, პროცესები კარგად დასაგეგმი და გასათვალისწინებელია, ჩვენ ბოლომდე გავყვებით და, ამავე დროს, გავზომავთ შედეგებს. ბუნებრივია, თუ არ გვეცოდინება ახლა რა ეტაპზეა მასწავლებელი და მოსწავლე, შემდეგ ვერ გავიგებთ პროგრამით მიღწეულ შედეგებს. ჯერ მასწავლებლები გააკეთებენ თვითშეფასებას და შემდეგ შევაფასებთ ბავშვების ცოდნას, დავაკვირდებით გაკვეთილებს.

რაც არ უნდა მოვიზონოთ თავი, რომ საქმე კარგად ვგაქვს, ვიცით, რომ ასე არ არის. მაღალბა ღმერთს, კარგი მასწავლებლები კვლევებს იმ აღჭურვილობითაც ატარებენ, რაც აქვთ, მაგრამ ამას ყველა ხომ ვერ ახერხებს. ამიტომ არის აუცილებელი დღევანდელი კვლევის უნარების გაზომვაც და იმ საჭიროებების დანახვა, რომ ზუსტად ვიცოდეთ რა მიმართულებით წავიდეთ.

„ჩხირკედელა“ – კლუბი, სადაც კითხვით სწავლების მინი-მოდელი იმპნება

რეალურ-ვირტუალური ლაბორატორიების გარდა, პროექტის ფარგლებში, დავაარსეთ კლუბი „ჩხირკედელა“, რომელსაც ნუგზარ მოსულიშვილი ხელმძღვანელობს. რა არის კლუბის იდეა? ბუნებრივია, ხედებით, რომ რეალური კვლევა 45 წუთში ვერ დასრულდება, ამიტომ სადაც უნდა გაჩნდეს დამატებითი სივრცე, სადაც ბავშვები ცოდნის გაღრმავებას და უნარ-ჩვევების განმტკიცებას ვაგვრძელებენ და, რაც მთავარია, ისინი არ იქნებიან

დროში შეზღუდული ე.წ. „ცხრილი“. ამიტომ საპილოტე სკოლაში, პარალელურად, დაარსდება კლუბები. თუ სკოლა თანახმაა, ჩართოს პროექტში, მაშინ აუცილებლად უნდა შექმნას კლუბიც, სადაც მოსწავლეები, უკვე საკუთარი ინტერესების მიხედვით, ჩაერთვებიან პროცესებში. პირველ მიმართულებად ფიზიკა ავირჩიეთ, თუმცა, ახლა უკვე ვეცადეთ, ბიოლოგიაც ჩავართოთ. მაგალითად, ჰიდროპონიკას ავანყობთ, ბავშვები მცენარეების გაზრდას ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით შეეცდებიან. ამის მინი-მოდელი შევქმენით, რადგან ჰიდროპონიკა მოიკიდა ფეხი ჩვენს სოფლის მეურნეობაში.

როგორც ვითხარით, „ჩხირკედელაში“ ბავშვი დროით აღარ იქნება შეზღუდული და გაკვეთილზე მიღებულ ცოდნას, კონცეფციებსა თუ პრინციპებს აქ უკვე ინტერესების მიხედვით გააფართოვებს. იმედია, როდესაც ბავშვი ხელით გააკეთებს, აანწყობს რობოტებს, სენსორების გამოყენებით „ჭკვიან ყუთებს“ და ა.შ., გაცილებით კარგად გააანალიზებს პროცესებს, ვიდრე თეორიულად მინოდებული ინფორმაციის დროს.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ბუნებრივია, მასწავლებლების პროფესიულ მომზადებას ემსახურება, მაგრამ მხოლოდ ტრენინგებით ამის მიღწევა შეუძლებელია. ამიტომ, ტიპური ტრენინგი ამისთვისაც არ გამოდგება. კლუბში ჩვენ უნდა შევქმნათ მოდელი, რომელიც შემდეგ დანარჩენ სკოლებს გამოადგებათ. სახელისწილი მეცადინეობებზე სკოლიდან ერთი მასწავლებელი მოდის, თავის სამ მოსწავლესთან ერთად, შემდეგ ისინი ადგილზე ჩაიტანენ აქ მიღებულ პრაქტიკულ ცოდნას. მიზანიც ეს არის – გახდენ ძირითადი ბირთვი და აიყოლიონ სხვებიც. ვახსენებთ მასწავლებლების საუბარი იმის შესახებ, რომ ტრენინგზე უამრავი რამ ვისწავლე, მაგრამ ეს კლასში არ გამომივიდა – ამ შემთხვევაში მასწავლებელი ამას ვერ იტყვის, რადგან აქ, მოსწავლეებთან ერთად, ზუსტად იმას აკეთებს, რაც გამოსდით. ეს კი ნიშნავს – თუ აქ გამოსდის, ე.ი. გამოიყვან კლასშიც. თუ რამე პრობლემა შეექმნებათ, ბუნებრივია, საკითხის აუცილებლად დავუბრუნდებით. ფაქტობრივად, კლასი-ლაბორატორიაა, სადაც პარალელურად ოთხი ჯგუფი მუშაობს. შესაბამისად, ერთ მეცადინეობაზე, ერთდროულად, მომზადდება ოთხი მასწავლებელი სამ მოსწავლესთან ერთად (ჯამში 12 ბავშვი). რა თქმა უნდა, პარალელურ რეჟიმში, გავაგრძელებთ მასწავლებლების ტრენინგებსაც. თუმცა, „ჩხირკედელას“ მუშაობის პრინციპი მაინც უფრო მნიშვნელოვანია – მასწავლებელი ბავშვებთან ერთად ახდენს ახალი მეთოდოლოგიებისა და ტექნოლოგიების დანერგვას სწავლების პროცესში. დარწმუნებული ვარ, აქ მოსული მასწავლებელი აღარ იტყვის, ტრენინგზე რაც ვისწავლე, საკლასო ოთახში აღარ გამომივიდაო, „ჩხირკედელას“ მთავარი ფუნქციაც ეს არის.

ტურნირი-თამაშები „ჩხირკედელა“

მესამე მიმართულება, რომელიც პროექტს შეკრავს, იქნება საბუნებისმეტყველო ტურნირი/ავსდური შეჯიბრი STEM მიმართულების საგნებში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია), რომელიც, ამავე დროს, კვლევებში ტექნოლოგიების გამოყენების და ინჟინერიის სფეროსაც მოიცავს. ტურნირი ტარდება საჯარო და კერძო სკოლების საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის.

თამაშებსაც „ჩხირკედელა“ ერქმევა. პირველი რეგისტრაცია უკვე გამოვაცხადეთ. რეგისტრირდებიან მასწავლებლები, რომლებიც საბაზო და უფროსი საფეხურის მოსწავლეებისგან 3-5 მოსწავლიან ჯგუფებს შექმნიან. შეიძლება ერთი სკოლიდან რამდენიმე ჯგუფმაც მიიღოს თამაშში მონაწილეობა. დასაშვებია, გუნდში იყოს სხვა სკოლის მოსწავლეც, შემადგენლობა უცვლელია მხოლოდ ტურნირის ბოლო ეტაპზე, ამოცანებზე მუშაობის პროცესში ცვლილება შესაძლებელია. გუნდს უცილებლად ეყოლება კაპიტანი – გუნდის ოფიციალური წარმომადგენელი და ხელმძღვანელი (მოქმედი პედაგოგი).

„ჩხირკედელა“ იქნება სრულიად ახალი ტიპის ტურნირი, რადგან მონაწილეებს წინასწარ გადავზავებთ კვლევითი ამოცანები (რომლებიც უკვე შექმნილი გვაქვს). ამოცანების შესრულება მოსწავლეებს, ჩვეულებრივ ოლიმპიადებისგან განსხვავებით (ერთი ან ორი დღის განმავლობაში ფურცელზე ამოხსნის ნაცვლად), თვენახევრის განმავლობაში მოუ-

ნევთ, სკოლაში ჩატარებული კვლევების საფუძველზე, ფიზიკის, ბიოლოგიისა და ქიმიის მიმართულებით. თუმცა, მიმართულებებიდან მათ შეუძლიათ წმინდა საგნობრივი ჯგუფის შექმნა ან სამივე საგნის გაერთიანება.

ტურნირი ორ ეტაპად ჩატარდება: დაუსწრებელი და დასწრებელი. დაუსწრებელი ტურნირის მიზანია გუნდების შეფასება და შერჩევა დასწრებული ტურნირისთვის.

წინასწარ გაგზავნილი 8 კვლევითი ამოცანადან სავალდებულოა, არანაკლებ, 5 კვლევითი სამუშაოს ჩატარება და წარსადგენად მომზადება.

საკვლევი ამოცანების გადამწყვეტისას მოსწავლეებმა სხვადასხვა უნარ-ჩვევა უნდა გამოავლინონ: ამოცანისთვის საჭირო თეორიული მასალის შესწავლა; მოდელის შემუშავება; ექსპერიმენტის დაგეგმვა და განხორციელება; მონაცემთა დამუშავება და ანალიზი; ლოგიკური დასკვნების გაკეთება; დასკვნების თვალსაზრისით წარმოსადგენად მომზადება და წარმოდგენა; დროში რეგლამენტირებული საინტერესო მოხსენების გაკეთება; მეცნიერული დისკუსიის წარმართვა; ამოცანის ამოხსნის საკუთარი ვერსიის დაცვა; სხვათა ნამუშევრების ობიექტური და კრიტიკული შეფასება და ა.შ. რაც მთავარია, კვლევაზე დაფუძნებული აქტივობებით, მასწავლებლებსა და მოსწავლეებში, კვლევითი და შემოქმედებითი უნარებისა და კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებას შევუწყობთ ხელს.

დასწრებული ტური, მონაწილე გუნდების რაოდენობიდან გამომდინარე, შეიძლება რამდენიმე შესარჩევ ეტაპს მოიცავდეს. შესარჩევ ტურებში გუნდების მონაწილეობა რეგიონული პრინციპით განისაზღვრება. ორდღიანი საფინალი ეტაპის ჩატარება, საშობაოდ, თბილისში იგეგმება. ვეცდებით, თამაშები სემესტრულ ღონისძიებად ვაქციოთ, რომ კლუბების ნევრმა მოსწავლეებმა სემესტრულად შეაჯამონ მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები.

ვფიქრობ, ერთი მნიშვნელოვანი დეტალი ისიც არის, რომ ეს ყველაფერი უნდა ჩაიხვეწოს ერთ და შემდეგ ვიდეომასალა იუთუბზე სპეციალურად შექმნილ არხზე ავტორით იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც თანატოლების გამოცდილებით დაინტერესდებიან. ამა-საც ბავშვები გააკეთებენ. ზოგადად „ჩხირკედელას“ კონცეფციაც ეს არის – გვერდზე გავიწიოთ, რომ ბავშვებმა წინ წამოიწიონ, თვითონ იჩხირკედელაონ. ჩვენს მინი-ლაბორატორიაშიც ასე ხდება, მასწავლებელი, ძირითადად, ოთახში მოძრაობს, ბავშვებს კვირდება, კვლევებს კი ისინი აწარმოებენ. ბუნებრივია, შეიძლება შეცდომები დაუშვან, მაგრამ რადგან პროცესის მთავარი აქტორები თავად არიან, პრობლემის გადაჭრის გზებზეც თვითონ უნდა იპოვონ, მასწავლებლის დახმარებით. მერწმუნეთ, კეთებით გაცილებით მეტს ისწავლიან, ვიდრე მხოლოდ თეორიულ გაკვეთილზე, პარაგრაფიდან პარაგრაფამდე ინფორმაციის დაზუთხვით.

საპილოტე პროექტის დასრულების შემდეგ

საპილოტე პროექტის დასრულების შემდეგ დავინახავთ როგორ განვითარდება ან არ განვითარდება ეს უნარები ტექნოლოგიების საშუალებით, სად გაჩნდება პრობლემები, რა უფრო კარგად იქნება ადაპტირებული. პროგრამა გრძელვადიანი ინტერვენციაა და შეეცდებით, ერთი წლის შემდეგ, განათლების სამინისტროს და საზოგადოებას ვაჩვენოთ, რომ ეს სასარგებლო პროცესია და ამ ტიპის ლაბორატორიების გამრავლებაში თანხის ჩადება ძალიან მომგებიანი იქნება სკოლებისთვის.

პროგრამა, პირველ რიგში, იქნება გამოცდა მასწავლებლებისთვის, რომ გაუთავებელი ჩივილი „ბავშვებს არ აინტერესებთ“ ერთხელ და სამუდამოდ დავინწყვას მიეცეს. ერთია ფიზიკის ტრენინგზე მოსმინო ეს ყველაფერი და მეორეა შენს მოსწავლეებთან ერთად აკეთო. აქ, მოსწავლეებთან ერთად მოსული მასწავლებლები, გამოცდილებას სხვა სკოლებს გაუზიარებენ. დარწმუნებული ვარ, მეზობელი სკოლის ფიზიკის მასწავლებელი აუცილებლად შეეცდება, იგივე გაიმეოროს საკუთარ საკლასო ოთახში. იმედია, ეს ყველაფერი საქართველოს სკოლებს ტალღასავით გადაუვლის.

სახელმძღვანელოები

ნიგნები თავის უფალ ბაზარზე უნდა იყილებოდეს

წელს სახელმძღვანელოების გრიფირება ეროვნული სასწავლო გეგმების სამართლებრივ ფარგლებში ჩატარდა. როგორც სამინისტროში აცხადებენ, ძალიან მძიმე არ დაიშურა, რომ პროცესი სრულფასოვნად წარმართულიყო, მაქსიმალურად ობიექტური და გამჭვირვალე ყოფილიყო. ამოვან, რომ გამოცემების შენიშვნებიც გაითვალისწინეს. საინტერესოა, როგორ ხელახლდნენ ამ პროცესს თავად გამოცემლები, როგორია მათი მოსაზრება წლიდანდელი გრიფირების შესახებ. გვესაუბრება თინათინ კუნიანიძე, გაკურს სულაქაურის გამოცემლების დირექტორის მოადგილე.



თვალში ჰქონდა, დაუკარგავს. ამიტომ, მგონია, რომ „დედა ენა“ ის საფუძველია, რომელსაც განვითარება სჭირდება, ეს არ არის მოცემული. ასეთია ჩვენი პოზიცია. თვითონ იმ პროცესებზე, რაც მოხდა, კომენტარს ნამდვილად ვერ გვაკეთებ, მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ბუნდოვანი და გაუგებარია, თუ რატომ მოხდა. ორი წლის წინ, ზაფხულში, გამოცხადდა, რომ ჩატარდებოდა კონკურსი „დედა ენის“ შესატანად სკოლებში. გადაწყვეტილება, სახელმძღვანელო გრიფირებაზე კი არ შეგვეტანა, იმ კონკურსში მიგველო მოწინააღმდეგე. იყო ასეთი მოსაზრება, რომ გრიფირებაზე, ჩვეულებრივ, შევიდეს ქართულის ნებისმიერი სხვა სახელმძღვანელო და ცალკე იყოს „დედა ენის“ კონკურსი (ვინ როგორ სავარჯიშოება მოამზადებს და ა.შ.), მაგრამ შეტანაც ვერ მოვასწარით, ისე გაქრა ეს კონკურსი. აი, მერე რა პროცესები განვითარდა, აღარ ვიცით.

– კონცეპტუალურად რომ ავიღოთ, ზოგადად, ჩვენი პოზიცია ასეთია, ნიგნები თავის უფალ ბაზარზე უნდა იყილებოდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმძღვანელოებს, რომლებსაც გამოცემლები გამოცემენ, ისინი უნდა ყიდდნენ თავის უფალ ბაზარზე. ეს, რა თქმა უნდა, არ გამოირიცხავს უფასო ეგზემპლარებს. ნებისმიერ ევროპულ ქვეყანაში არის მსგავსი პრაქტიკა – სახელმწიფო გამოცემლებისგან ყიდულობს ბექდურ ეგზემპლარებს და მერე ურიგებს სკოლებს. გასულ წლებში, უფრო სწორად, 2000-იანების დასაწყისში, როდესაც გრიფირების პროცესი დაიწყო, სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდებოდა შესყიდვები, მაგალითად, სოციალურად დაუცველებისთვის. 2012-ში სურათი რადიკალურად შეიცვალა, სამინისტრო თვითონ ბექდავს სახელმძღვანელოებს, ვერ აცხადებენ ტენდერს, შემდეგ ბექდავენ და არიგებენ სკოლებში. ნამდვილად შეგვიძლია ვთქვათ, რომ, ამ კონცეფციის ფარგლებში, როცა სახელმძღვანელოებს საჯარო სკოლებისთვის სამინისტრო ბექდავს, წლებიდან წელი ნამდვილად გამორჩეული იყო, უფრო გამჭვირვალე, გამოცემლებისთვისაც – მეტად მისაღები და უფრო აქტიურადაც ვიყავით ჩართულები. მაგრამ, კონცეპტუალურად, როგორც მოგახსენეთ, თავისუფალი ბაზარი, ზოგადად ნიგნის განვითარებისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ამ დროს ხდება კონკურენცია ფასებში, ხარისხის გაუმჯობესება, ზემოთ დასახელებული პროცესები კი ამას აფერხებს.

– შარშან იყო შემთხვევები, როცა მალაქულიანი სახელმძღვანელოები დარჩა სკოლის მიღმა...

– ჩვენ შემთხვევაში, ასეთი რამ არ მომხდარა. ზოგადად, განათლების სამინისტრო გრიფირებულებიდან პირველ სამეულს ბექდავს, რომლებზეც ყველაზე მაღალი ქულა მიიღო. ეს ქულა შენონილია და გამოიანგარიშება როგორც შეფასებული ქულებისგან, ასევე იმ ფასიდან, რა ფასდაკლებას აკეთებს გამოცემლობა. თუმცა, მე არ მახსენდება, უმაღლესი შეფასების მქონე ნიგნი დარჩენილიყო სკოლის გარეთ. როდესაც სახელმძღვანელოს საშუალო, ზღვარზე არც ისე მაღალი, შეფასება აქვს და არც ფასდაკლება მაღალი, შესაძლოა, დარჩეს, მაგრამ, კიდევ გავიმეორებ, უმაღლესი ქულების მქონე სახელმძღვანელო, რომელიც დარჩა სკოლის გარეთ, მე არ მახსენდება.

– თუმცა, შეიძლება, უფრო მაღალქულიანი და დაბალმა ფასდაკლებამ განაპირობოს ის, რომ დაბალქულიანი და მაღალფასდაკლებიანი სახელმძღვანელო შეირჩეს. ფასი ნამდვილად მნიშვნელოვან როლს თამაშობს საბოლოო ქულის მიღებაში. ვთქვათ, თუ ვიღაცას 99%-იანი ფასდაკლება აქვს, შენ კი – ნაკლები, ეს ნამდვილად მოახდენს გავლენას საბოლოო ქულაზე. ოღონდ უმაღლესქულიანი ნიგნზე რამდენად ახდენს ეს გავლენას, არ ვიცი, მაგრამ ნაკლებქულიანი სკოლის გარეთ დარჩება.

სამინისტრომ ყველა გრიფირებული სახელმძღვანელო შეისყიდა, შეიძლება ყველა არ დაბექდილა, მაგრამ შიგთავსი ჩვენგან შეისყიდა. აქ ორი კომპონენტი: ერთი – იხიდან ფასს შიგთავსში, ანუ მომზადებულ ფაილში და მეორე – რამდენ ცალსაც ბექდავენ, კონკრეტულ ეგზემპლარზე გარკვეულ

თანხას უხდინა გამოცემლობებს. თუ გრიფირებული სახელმძღვანელო სამეულში ვერ მოხვდება, სამინისტრო მისი შიგთავსის ღირებულებას მაინც იხდის, რადგან ის გრიფირებულია. ეს, რაც წლებიდან გრიფირებას შეეხება, შარშან მსგავსი რამ არ მომხდარა, გრიფირებული იყო, მაგრამ ჩვენგან მაინც არ იყიდეს.

– სამინისტრო მე-8 კლასის სახელმძღვანელოების გრიფირებისთვის ემზადება. მიიღებთ თუ არა მონაწილეობას? ხომ არ არის გრიფირების წესში რაიმე ცვლილება?

– ჩვენ უკვე დაიწყეთ მზადება იმიტომ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა ჩვენ წინაშეა და ბევრ საგანში ვამზადებთ სახელმძღვანელოებს. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით განვითარება და ამიტომ ვმონაწილეობთ გრიფირებაში.

– ცვლილება შეეხება ექსპერტებს. ექსპერტისთან დაკავშირებით ჩვენ გარკვეული შენიშვნები გექონდა – სჯობს, რომ ჯგუფი, რომელიც ასწორებს, არ იყოს ანონიმური, მომზადების პერიოდში უნდა შეგეძლოს მათთან აქტიური კომუნიკაცია, შენიშვნების გათვალისწინება. წელს სამინისტრომ ეს გაითვალისწინა.

– გარდა ამისა, წინა წლის შეფასების ნაკლი ის იყო, რომ ერთი ექსპერტი კონკრეტულად ერთ სახელმძღვანელოს კითხულობდა, ნერდა რაღაც ქულებს და მას არ ეძლეოდა შედარების შესაძლებლობა, ამდენად, გაურკვეველი იყო, რასთან მიმართებაში წერდა ამა თუ იმ ქულას. წელს გვეპირდებიან, რომ ექსპერტს ექნება შესაძლებლობა, სხვა სახელმძღვანელოებიც ნახოს და ქულები შედარების საფუძველზე დაწეროს, რაც უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია.

– საინტერესოა, რას იტყვით იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ სკოლებში დაბრუნებაზე? თქვენს გამოცემლობას ჰქონდა სახელმძღვანელო, რომელიც, ფაქტობრივად, ყველა იმ პრინციპს აკმაყოფილებდა, რომლის მიხედვითაც გადაწყდა ახალი „დედა ენის“ მომზადება, რატომ არ განიხილებოდა ნინო გორდეღაძისა და გვანცა ჩხენკელის მიერ მომზადებული სახელმძღვანელო. როგორ შეაფასებდით ამ პროცესს?

– ეს პროცესები ჩვენთვის ცოტა ბუნდოვანია და ვერ ვხვდებით, რატომ დადგა ამის საჭიროება. ზოგადად, ჩვენი პოზიცია „დედა ენის“ მიმართ ასეთია: რაც, თავის დროზე, იაკობ გოგებაშვილმა გააკეთა, ეს ნამდვილად იყო სიახლე და ბევრი რამ „ამოაბრუნა“ წერა-კითხვის შესწავლის პროცესებში. მის ნეროდებში წერია, რომ მე ეს გავაკეთე და დანარჩენი მომავალი თაობებისთვის მიმინდოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ფეხი უნდა ავუწყოთ თანამედროვეობას და წერა-კითხვის სწავლება უფრო და უფრო გაუმჯობესებული მეთოდებით უნდა განვავითაროთ. შესაბამისად, ისე იმ ძველის დაბრუნება, რაც მან თავის დროზე გააკეთა, ვფიქრობთ, ნამდვილად არასწორია. ტექსტები აბსოლუტურად კონტექსტიდანა ამოვარდნილი. იმ დროს, როდესაც ფართო საზოგადოებისთვის წერა-კითხვის შესწავლა იგეგმებოდა, ეს ადამიანები, ძირითადად, მინაზე მომუშავე ხალხი იყო, შესაბამისად, მოთხოვნებში მთავარი ეს თემატიკაა. ვფიქრობთ, დღევანდელი მოსწავლისთვის ეს აბსოლუტურად უინტერესო იქნება, შინაარსს დაკარგავს და იაკობ გოგებაშვილს იმ დიდ ღვაწლს, რაც ახალი თაობის

– გარდა სახელმძღვანელოებისა, რას სთავაზობთ სკოლებს?

– გვაქვს დამატებითი სასწავლო მასალები დანყებით საფეხურზე, გამოვეცით კატალოგი და ამ მიმართულების გაფართოება ვგეგმავთ. დაახლოებით 2 კვირაა, რაც გავშვავ პორტალი sulakauri.edu.ge, რომელზეც ყველა სახელმძღვანელო ონლაინ. ასეთი მესიჯი გვაქვს – დატოვე ნიგნი სკოლაში და შეიმსუბუქე ჩანთა.

– შეგიძლია ჩანთა დატოვო სახლში და ელექტრონულად ნახო დაევალება. ვთქვათ, გასაკეთებელი გავს მათემატიკის რომელიმე სავარჯიშო, არ არის საჭირო ნიგნის გადაშლა, შენს მოწყობილობაში (გინდა კომპიუტერში, გინდა მობილურში) ამოიკითხავ ამოცანის პირობას და დაწერ. ეს, რა თქმა უნდა, გაცილებით იაფია, ვიდრე ბექდური ეგზემპლარი. ამ მომსახურებას სხვადასხვა დროით ყიდულობ (იმიტომ, რომ ეს ნიგნი ნაწილებად და დამოუკიდებელი), შეგიძლია 3 თვით იყიდო, 1/2 ან ერთი წლით. პორტალზე არის როგორც დამხმარე მასალა (როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვის), ასევე მხატვრული ლიტერატურა, რომელიც სასარგებლოა მშობლებისთვის – დაეხმარებათ ელექტრონული მიღებაში რა ნაწილისთვის შეიძლება. მსგავსი ელექტრონული პორტალი საქართველოში ჯერ არ ყოფილა და, ამ მიმართულებით, ჩვენ კიდევ ბევრი რამის გაკეთებას ვაპირებთ. გვინდა, ამ პორტალის ფარგლებში, ინტერაქციული ნიგნებიც გამოვეცით.

– ზოგადად, დამხმარე სასწავლო რესურსების მხრივ, გაისად, უფრო მეტად მომზადებულები შევხვდებით სასწავლო წლის დაწყებას იმიტომ, რომ ბევრი იდეა გვაქვს და გვინდა, ბევრი კარგი დამხმარე სასწავლო მასალა გექონდეს ყველა საგანში, სადაც ახალი სასწავლო ეროვნული გეგმა იქნება (გაისად – მერვე კლასის ჩათვლით).

– საუბრის ბოლოს, ხომ არ გსურთ რაიმეს დამატება?

– ორი წლის განმავლობაში, ძალიან დიდხნაიანი მუშაობის პროცესი გავიარეთ, მინისტრებთანაც გექონდა შეხვედრები, დაახლოებით, 25 შეხვედრა გექონდა (უფრო გასულ წელს), რომ სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესებში რაღაც შეცვლილიყო. გარკვეულ საკითხებში კონსენსუსამდე მივედით, მაგრამ რაღაცებში ვერ შევთანხმდით, რადგან ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია თავისუფალ ბაზარზე გასვლა (ჩვენთვისაც და ნიგნის განვითარებისთვისაც – როდესაც თავისუფალ ბაზარზე ხარ, მარტო ხარ, კონკურენტები იჩენენ თავს და ნიგნი იხვეწება, უკეთესი ხდება, ეს ბუნებრივი კანონზომიერებაა).

– გავიმეორებ, რომ ეს უფასო ეგზემპლარებს ნამდვილად არ გამოირიცხავს (ვიცი, ბევრ მშობელს არ აქვს ფული, რომ გადაიხადოს სახელმძღვანელოებში), მაგრამ ჩვენს პროდუქტს ჩვენვე უნდა ვყიდდეთ, გამოცემლების საერთო პოზიცია მაინც ეს არის.

– კიდევ ერთხელ დავაფიქსირებ, რომ იმ კონცეფციის ფარგლებში, როდესაც ჩვენგან შიგთავსს ყიდულობენ და შემდეგ სამინისტრო უკვე თავს და ბექდავს, სიტუაცია ნამდვილად ვითარდება და უმჯობესდება, თუმცა ჩვენი სურვილია, რომ ჩვენს ნიგნებს თავისუფალ ბაზარზე ვყიდდეთ.

ესაუბრა ლალი თვალაბაიშვილი

პროფესიული პანთითარება

მასწავლებელთა საშემოდგომო გამოცდების განრიგი

2019 წლის შემოდგომაზე ორგანიზებული საგნის გამოცდის, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების ტესტირების ჩატარების განრიგი ცნობილია – ტესტირება 2 ნოემბერს დაიწყება და 8 ნოემბერს დასრულდება. დეტალური ინფორმაცია ტესტირების ჩატარების ადგილისა და დროის შესახებ მითითებული იქნება საგამოცდო ბარათზე, რომლის ამობეჭდვასაც აპლიკანტები ოქტომბრის მეორე ნახევრიდან შეძლებენ.

2 ნოემბერი

პროფესიული უნარები.

3 ნოემბერი

პროფესიული უნარები.

4 ნოემბერი

ქართული ენა და ლიტერატურა; მათემატიკა და ბუნებისმეტყველება (I-IV).

5 ნოემბერი

ბუნებისმეტყველება (I-VI); ქართული ენა და ლიტერატურა (I-VI);

მათემატიკა (I-VI).

6 ნოემბერი

ბიოლოგია; გეოგრაფია; ინგლისური ენა – წერითი ნაწილი; რუსული ენა – წერითი ნაწილი; გერმანული ენა – წერითი ნაწილი; ფრანგული ენა – წერითი ნაწილი; ქართული, როგორც მეორე ენა – წერითი ნაწილი.

7 ნოემბერი

მუსიკა; ისტორია; სამოქალაქო განათლება; ქართული ენა და ლიტერატურა (VII-XII); ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები – წერითი ნაწილი; ინგლისური ენა – პრაქტიკული ნაწილი; რუსული ენა – პრაქტიკული ნაწილი; გერმანული ენა – პრაქტიკული ნაწილი;

ფრანგული ენა – პრაქტიკული ნაწილი; ქართული, როგორც მეორე ენა – პრაქტიკული ნაწილი.

8 ნოემბერი

ფიზიკა; მათემატიკა (VII-XII); სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება; ქიმია; სპორტი; ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები – პრაქტიკული ნაწილი.

* * *

შეგახსენებთ, რომ წელს მასწავლებლებსა და მასწავლებლების მსურველებს კომპეტენციის დადასტურების საშუალება მეორედ მიეცათ. შემოდგომაზე ორგანიზებული ტესტირებისათვის 26 600-ზე მეტი აპლიკანტი დარეგისტრირდა.

პრაქტიკოსმა მასწავლებლებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ხელახალი ტესტირებისას მიღებული შედეგები აუქმებს იმავე საგანში საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციის დადასტურებისას მიღებულ წინა შედეგებს.

ახალი ახვავი

რამდენით გაიზარდა განათლების ბიუჯეტი

პარლამენტში, 2019 წლის ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილებების პროექტის წარდგენისას, ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, გიორგი კაკაურიძემ ბიუჯეტის ცვლილების საჭიროების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად განათლების რეფორმა დაასახელა. მისი განმარტებით, ცვლილება გამოიწვია ინიციატივამ, რომელიც საპენსიო ასაკის პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის ვილდოს გაცემას და მასწავლებლების ხელფასების 150-ლარიან მატებას ითვალისწინებს.

სამინისტროს ინფორმაციით, 6500-მდე საპენსიო ასაკის პრაქტიკოსმა მასწავლებელმა სისტემის დატოვების სურვილი უკვე გამოთქვა და შესაბამისად, თითოეული მათგანი მიიღებს ვილდოს, 2 წლის ხელფასის ოდენობით და ჯანმრთელობის დაზღვევას სიცოცხლის ბოლომდე. ვილდოს გაცემის პირველი ეტაპი, სავარაუდოდ, ოქტომბერში განხორციელდება. საერთო ჯამში, პრაქტიკოს მასწავლებელთა ეროვნული ვილდოსთვის ბიუჯეტიდან 75 მილიონი ლარი გამოიყოფა, ხოლო ხელფასების 150 ლარით ზრდისთვის – 20 მილიონი ლარი.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, მიხეილ ბატიაშვილმა, მთავრობის რეგარემე სხდომაზე, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის წარდგენისას განაცხადა, რომ რეფორმის ეფექტურად განხორციელება სწორედ ახალი ბიუჯეტითა დაგეგმილი. მან კიდევ ერთხელ გაამხვილა ყურადღება იმ დანახარების შესრულებაზე, რომელიც მასწავლებელთა ხელფასების ზრდას ეხება: „რეფორმის ფარგლებში, შემოდგომაზე, მასწავლებელთა ანაზღაურება 150 ლარით იზრდება და როგორც ჩვენს პედაგოგებს დაეპირდით, მთავრობის გადაწყვეტილებით, მომავალი წლის ბიუჯეტში ხელფასების კიდევ, დამატებით, 150 ლარით ზრდა გათვალისწინებული. ეს ნიშნავს იმას, რომ

დღევანდელთან შედარებით, პედაგოგის ხელფასი, ჯამში, 300 ლარით გაიზრდება. ეს უმნიშვნელოვანესი ზრდაა და პირდაპირა დაკავშირებული პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლებასთან. ეს პროცესი ყოველწლიურად გაგრძელდება და გვეყოლება პედაგოგები, რომლებიც ნამდვილად ღირსეულ ანაზღაურებას მიიღებენ.“

მინისტრმა, მომავალი წლიდან, პროფესიული სასწავლებლების პედაგოგების ხელფასების ზრდაც დააანონსა და განაცხადა: „ახლანდელ მონაცემს რომ შევადაროთ, დაახლოებით 50%-ით გაიზრდება მათი ხელფასები, რაც ვფიქრობთ, ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია“. მისივე განცხადებით, მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტებია დაგეგმილი პროფესიული განათლების მიმართულებით, კერძოდ, მომავალ წელს, დაგეგმილია 6 ახალი პროფესიული სასწავლებლების აშენება, რაც რეგიონულ დაფარვას და ხელმისაწვდომობას გაზრდის.“

უმალესი განათლების მიღწევებზე საუბრისას, მიხეილ ბატიაშვილმა აღნიშნა, რომ დაფინანსება მიმართული იქნება უმაღლესი განათლების ხარისხის ზრდისა და ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების განვითარებისკენ.

„წელს სიახლეები გვექონდა უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით – ევროპული სივრცის ნაწილი გავხდით, რაც ევროპულ სივრცეში მეტ ინტეგრაციასა და ხარისხის ზრდას გულისხმობს. შესაბამისად, უმაღლესი განათლების დაფინანსება მიმართული იქნება სწორედ იქითკენ, რომ გაიზარდოს ხარისხი და, ასევე, ინფრასტრუქტურული შესაძლებლობები. ჩვენს მეცნიერებს გაეცხნათ ევროპული სივრცე, რაც მილიონობით ევროსთან წვდომას ნიშნავს. ჩვენი რესურსებითაც მაქსიმალურად დავეხმარებით მათ. განათლება რომ მთავრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი



პრიორიტეტია, ეს ბიუჯეტის ზრდაშიც გამოიხატა. გათვალისწინებულია განათლების ბიუჯეტის 130 მილიონზე მეტი ზრდა, რაც იმის შესაძლებლობას მოგვცემს, რომ კომპლექსური რეფორმა წარმატებით განხორციელდეს.

აღსანიშნავია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი – ერთი წლის აქტიური მუშაობის შედეგად განათლების სამინისტრომ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან 600 მილიონი ლარი მოიზიდა. მისი ათვისება მომავალი წლიდან დაიწყება. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა კიდევ გაგრძელდება, მოლაპარაკება მიმდინარეობს რამდენიმესთან. „ეს რესურსები, არსებულ ბიუჯეტთან ერთად, განათლების რეფორმას მოხმარდება“ – ამბობს მიხეილ ბატიაშვილი.

მთავრობის რეგარემე სხდომაზე, მინისტრმა განაცხადა, რომ განათლება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია და ამას ბიუჯეტის ზრდაც ადასტურებს.

ეფექტიანი და ინკლუზიური პროფესიული განათლების უზრუნველსაყოფად

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, გაერთიანებული სამეფოს კარგი მმართველობის ფონდთან (GGF) თანამშრომლობით, სამუშაო შეხვედრას უმასპინძლა, სადაც პროფესიული განათლებისა და გადამზადების დაფინანსების მოქმედი სქემა და საერთაშორისო კარგი პრაქტიკის საკითხები განიხილეს. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა კონსენსუსის მიღწევა პროფესიული განათლებისა და გადამზადების დაფინანსების პოლიტიკასთან დაკავშირებით როგორც საშუალო, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში.

შეხვედრაში, რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, გიორგი ვაშაქიძემ, PwC-ის დირექტორმა და GGF-ის გუნდის ხელმძღვანელმა საქართველოში თამთა შერმადინმა და GGF-ის პროექტის ხელმძღვანელმა, ოლივერ დისმა გახსნეს, მონაწილეობდნენ როგორც სამინისტროს, ასევე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და დონორი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

„ჩვენი მიზანია, ჩამოვყალიბოთ პროფესიული განათლებისა და გადამზადების დაფინანსების ეფექტური მექანიზმები, რითაც ხელს შევუწყობთ პროფესიული განათლების პოპულარიზაციას და მიმზიდველობის ზრდას მოსახლეობაში, პროფესიული განათლებისა და გადამზადების ხარისხის გაუმჯობესებას და მასწავლებლების აქტიური ჩართულობის გზით, პროფესიული განათლების სისტემაში დინამიური და დივერსიფიცირებული სერვისების ჩამოყალიბებას, ასევე, უნდა გაიზარდოს ამ სისტემის შიდა ეფექტიანობაც. პროფესიული განათლებისა და

გადამზადების პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას, სოციალურ ჩართულობას და მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების უზრუნველყოფას, საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემის დაახლოებას ევროპის ერთიან საგანმანათლებლო სივრცესთან.“ – განაცხადა გიორგი ვაშაქიძემ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიან სტრატეგიაში (2017-2021 წწ.) პროფესიული განათლების დაფინანსების ეფექტური მექანიზმების საჭიროება ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რამაც, თავის მხრივ, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის (LLL) პრინციპზე დაფუძნებული პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა უნდა უზრუნველყოს. შემოთავაზებულმა დაფინანსების ახალმა მოდელმა, პროფესიული განათლების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაახლოებასთან ერთად, ხელი უნდა შეუწყოს: ა) დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციას; ბ) დამატებითი დაფინანსების მოძიებას; გ) კერძო სექტორის ჩართულობას; დ) დაფინანსების ეფექტურ განაწილებას ინსტიტუტებს, მიმართულებებსა და სპეციალურ პროგრამებს შორის; ე) პროფესიული განათლების ეფექტიან მართვას.

PwC-ის საკონსულტაციო პრაქტიკის დირექტორისა და საქართველოში GGF-ის გუნდის ხელმძღვანელის, თამთა შერმადინის თქმით, პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონი დაფინანსების ახალი მოდელის შემოღებას ითვალისწინებს. მისი აზრით, პროფესიული განათლების სისტემა იცვლება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, უფრო მოქნილი ხდება, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს დაფინანსების დივერსიფი-

ცირებული მექანიზმების შემოღებას. პროფესიული განათლების დაფინანსება სახელმწიფოს, დამსაქმებლებსა და სტუდენტებს შორის ხარჯების განაწილებას ეფუძნება: „დიდი ბრიტანეთის კარგი მმართველობის ფონდის მხარდაჭერით ორგანიზებულ საკონსულტაციო შეხვედრაზე მოველით, რომ ამ კუთხით საქართველოსთვის საუკეთესო გადაწყვეტაზე შევეჯერდებით, რაც, თავის მხრივ, უნდა აისახოს პროფესიული განათლების დაფინანსების მთავრობის დადგენილებაში.“ – განაცხადა თამთა შერმადინმა.

სამუშაო შეხვედრა ორგანიზებულია დიდი ბრიტანეთის კარგი მმართველობის ფონდის (GGF) პროექტის „დაფინანსების დივერსიფიცირებული მექანიზმების შემუშავება საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემისთვის“ ფარგლებში. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტექნიკური დახმარების პროექტი ითვალისწინებს პროფესიული განათლების დაფინანსების დივერსიფიცირებული მოდელის შემუშავებას. საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტებისგან შემდგარი გუნდი, მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის გზით, სამინისტროს დაეხმარება, შეიმუშაოს დაფინანსების ახალი, დივერსიფიცირებული მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს პროფესიული განათლებისა და გადამზადების ეფექტურ და ინკლუზიური სისტემის ჩამოყალიბებას. ეს, თავის მხრივ, შესაძლებლობას მისცემს საქართველოს მთავრობას, მიაღწიოს პროფესიული განათლების მიწოდების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ამასთან, შემცირდეს შრომითი ბაზრის მოთხოვნებთან არსებული შეუსაბამობა.

დირექტორებთან შეხვედრა

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი, „ზოგადი განათლების რეფორმის მხარდაჭერი“ პროგრამის განმახორციელებელ გუნდთან ერთად, იმ სკოლის დირექტორებს შეხვდა, რომლებიც „ახალი სკოლის მოდელის“ პროექტში ჩაერთვებიან.

მიხეილ ბატიაშვილმა სკოლის დირექტორებს მიმდინარე რეფორმები გააცნო და აღნიშნა, რომ „ახალი სკოლის მოდელი“ რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომელიც სკოლებში წარმატებით მიმდინარეობს და ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის გადაცემაზე, მოსწავლეებში კრიტიკული, კომპლექსური აზროვნების განვითარებაზე.

შეხვედრაზე მინისტრმა ხაზი გაუსვა თავად პროექტის მიზანს, მოსალოდნელ შედეგებს და აღნიშნა, რომ პროექტის მიმდინარეობის პროცესში მონაწილეობასა და თანამშრომლობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება – იმ სკოლებში სადაც დირექტორების ჩართულობა მაღალია, შედეგაც განსაკუთრებულად მაღალია.

„ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ რამდენიმე წელიწადში სრულიად ახალი განათლების სისტემა მივიღოთ. „ახალი სკოლის მოდელი“ პროექტი უკვე ძალიან წარმატებულია და დარწმუნებული ვარ, ეს მომავალ თაობებში აუცილებლად აისახება. ჩვენ მუდამ მზად ვართ, თქვენ გვერდით ვიდგეთ, რადგან ჩვენი მიზანია, თითოეული სკოლისა და კლასის დონეზე მივიღოთ მაღალი შედეგი“ – განაცხადა მინისტრმა.

„ახალი სკოლის მოდელი“ კიდევ 100 საჯარო სკოლა ჩაერთვება. შესაბამისად, სკოლის დირექტორებთან საინფორმაციო შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა როგორც პროექტში ახლად ჩართული საჯარო სკოლების დირექციისთვის დაგეგმილი აქტივობების გაცნობა, ასევე მოლოდინების ურთიერთგაზიარება.

2019-2020 სასწავლო წლის I სემესტრიდან პროექტის განხორციელება აჭარის, გურიის, აფხაზეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის, იმერეთის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, კახეთის, შიდა და ქვემო ქართლის 100 საჯარო სკოლაში დაიწყება.

პროექტის მისიაა სკოლებში პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბება, რომელიც ყველა მოზარდს საკუთარი პოტენციალის რეალიზების საშუალებას მისცემს და XXI საუკუნის გამოწვევათა მისაღებად საჭირო ცოდნით შეაიარაღებს. გარდა ამისა, პროექტის მიზანია სასკოლო კულტურის განვითარება და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. ამ მიზნების მისაღწევად, პროექტის ფარგლებში შექმნილი მხარდაჭერი ჯგუფები პედაგოგებთან შემდეგი ძირითადი მიმართულებებით იმუშავებენ:

- კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნებული სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარებასა და დანერგვაზე;
- სკოლის მართვის ეფექტიანი მიდგომების განვითარებაზე;



• ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებაზე სწავლა-სწავლების პროცესში. აღნიშნული პროცესების ხელშეწყობის მიზნით დაიწყება სკოლების WiFi-ით სრული დაფარვა და კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფა. 2024 წლამდე, ეტაპობრივად, პროექტი „ახალი სკოლის მოდელი“ საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში განხორციელდება.

თვალსაზრისი

სწავლების პროცესში კომპიუტერული დატვირთვის ჩართვის აუსილბლობის შესახებ

ბოლო წლებში, ჩვენი ქვეყნის სკოლებში, ფიზიკის ცოდნის დონე მკვეთრად დაეცა. განსაკუთრებით მძიმეა „კომპიუტერული“ გამოცდის შედეგები. კომპიუტერულ გამოცდაზე მოსწავლეთა ჩაჭრის მიზეზი მართკ „არცოდნა“ არ არის, მიზეზი არაერთია. სასკოლო რეფორმა რადიკალურად ახალ მიდგომებს მოითხოვს.

ჩვენ შევხვებით მხოლოდ ერთ-ერთს. „ტრადიციული“ მასწავლებლის შეფასება მკვეთრად განსხვავდება „კომპიუტერის“ შეფასებისაგან (გაზეთი „ახალი განათლება“ – 2017 წ. N 30, გვ.6):

ა) მოსწავლეები, დაბალი კლასებიდან, მიჩვეული არიან საკონტროლო წერის, გამოკითხვისა და შეფასების „ტრადიციულ“ მასწავლებლის სქემას – უმეტეს შემთხვევაში, ნიშანი ინერტა გაკვეთილზე მოყოლილი ტექსტის მიხედვით; მასში მცირეა ამოცანისა და ტესტის წილი. ასევე, მოსწავლეები მიჩვეული არიან საკონტროლო წერას, რომლის საკითხები წინასწარ იცნან. კლასში წერის დროს, ყველგან და მინიშნებებით, ახერხებენ ან იმედა აქვთ, რომ მოახერხებენ გადაწერას. მოსწავლეს შეუძლია ერთი საკითხიდან მეორეზე გადავიდეს – ირჩევს იმას, რაც იცის და წერს; შემდეგ ეძებს მისთვის ამოხსნად საკითხს, ბოლოს უბრუნდება „ძნელს“, ანუ რომელიც არ იცის. ე.ი. დროით არ არის შეზღუდული, დროის ფაქტორი მას არ აწუხებს. ნამუშევარში ხშირად ნიშანი ან ნიშნის რაღაც ნაწილი ინერტა არა მარტო ამოხსნის ამოცანაში, არამედ ნახევრად ამოხსნილ ამოცანაში ან მარტო მოცემულობის ჩანერაშიც კი. ეს სწავლის პროცესში ამოცანებისადმი ზერელე დამოკიდებულებას იწვევს. ასეთი მიდგომა დამკვიდრებულია (ჩვენი აზრით) უმეტესი სკოლების ადმინისტრაციებში, მასწავლებლებში, მოსწავლეებსა და მშობლებში. ამ მიზეზთა გათვალისწინებით, საკონტროლოს დროს, მოსწავლეები ნაკლებად სტრესულ გარემოში არიან.

ბ) კომპიუტერულმა გამოცდამ მკვეთრად შეცვალა შეფასების კრიტერიუმი: მოსწავლეები ხვდებიან სულ სხვა გარემოში, მათთვის უცნობ პირობებში – კომპიუტერმა მოყოლა პრაქტიკულად უკუაგდო, იგი მხოლოდ ამოცანისა და ტესტის სწორ პასუხს აფასებს (მოცემული ოთხი პასუხიდან სწორად ამორჩევის ან სწორად „გარტყმის“ მიხედვით), ელემენტარულ შეცდომას არ იღებს და მასში 0 ქულას წერს. ეს რამდენად კარგია და სწორი, სულ სხვა საკითხია. განსაკუთრებით მძიმეა დროის ფაქტორი: ეკრანზე გამოსული ტესტი ან ამოცანა მოსწავლემ უნდა ამოხსნას ფიქსირებულ დროში; ისინი ჩქარობენ, რადგან იციან, რომ გარკვეული დროის შემდეგ კომპიუტერი ავტომატურად გადადის ახალ შეკითხვაზე. მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ერთი და იმავე მასალისას (დაახლოებით იმავე დროში) კომპიუტერის გამოცდაზე შესაფასებელი საკითხები უფრო მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია, ვიდრე რიგითი წერილი საკონტროლოს დროს; ანუ საგამოცდო „დატვირთვა“ (ინტენსივობა) „ტრადიციულსა“ და კომპიუტერულს შორის მკვეთრად განსხვავებულია. ყოველივე ეს კი მოსწავლისათვის უცნობი, მიუჩვეველი და ამდენად, საკმაოდ მძიმეა. ასევე „მძიმედ იჩენს“ თავს ამოხსნილი ამოცანებისა და ტესტების მცირე რაოდენობა (დღევანდელი საათობრივი დატვირთვა სრულიად არა-

საკმარისია ფიზიკის სწავლებისათვის), „გარტყმის“ იმედზე ყოფნა. ამგვარად, კომპიუტერის გამოცდისას სტრესი ბევრად დიდია. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, საუკეთესო მოსწავლეებიც კი შეიძლება, სტრესისა და დაძაბულობის გამო, დაიბნენ და ამან გამოიწვიოს არაადეკვატური შეფასება – უცხო სიტუაციაში მყოფი მოსწავლეების უმეტესობა საკმაოდ დაბალ შეფასებას იღებს, რადგან სრულად ვერ ამყვანებენ ცოდნას.

ჩვენ შევიშუბავთ სწავლის პროცესში კომპიუტერული დატვირთვის ჩართვისათვის კომპიუტერული პროგრამა, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ ემთხვევა CAT-ის პროგრამას და განსხვავდება ინტერნეტსერვერზე გავრცელებული სხვადასხვა „სტანდარტული“ პროგრამებისგან (განსაკუთრებით ამოცანების ნაწილში – ამოცანისათვის არ არის მოცემული ოთხი გამზადებული პასუხი; მოსწავლემ უნდა აირჩიოს მოცემული ფიზიკური სიდიდის განზომილება, ოთხი პასუხიდან, და ამოხსნით მიღებული პასუხის რიცხობრივი მნიშვნელობა შეიყვანოს კომპიუტერში; სრულიად არასწორია ამოცანების „მზამზარეული“ ოთხი პასუხის მიცემა – სწორედ ეს იწვევს „გარტყმის“ იმედზე ყოფნას და ამოცანებისადმი არასერიოზულ დამოკიდებულებას). ჩვენი პროგრამის მიხედვით, კომპიუტერში იტვირთება სახელმძღვანელოებიდან, ამოცანათა კრებულებიდან აღებული, მოსწავლეებისათვის კარგად ნაცნობი, დამუშავებული მასალა, რომელიც საშინაო დავალებად ჰქონდათ მიცემული, გაკვეთილებზე დეტალურად გარჩეული, დაფაზურ რამდენჯერმე გამოყვანილი სხვადასხვა სიძლიერის მოსწავლეების მიერ და ამის შემდეგ საკონტროლოზე შესრულებული. ამ „გადაღებულ“ მასალაზე კომპიუტერულ გამოცდაზე მეტად არადაამკამყოფილებელი შედეგი მივიღებთ.

სურ.1 ა.ბ.-ზე წარმოდგენილი გრაფიკიდან მკაფიოდ ჩანს, თუ რამდენად დაბალ შედეგს აჩვენებენ მაღალქულიანი მოსწავლეები, კომპიუტერზე საკონტროლოს წერისას, „გადაღებული“ მასალის დროს. ცხადია, ეს რთული და მრავალმხრივი ფაქტორითაა გამოწვეული. ამ ფაქტორებიდან (ჩვენი აზრით) მთავარია ის, რომ სწავლის პროცესში მოსწავლეებს კომპიუტერთან არ ჰქონდათ შეხება და მხოლოდ ახლა ასრულებენ კომპიუტერზე საკონტროლო სამუშაოს; ანუ მოსაზრება, რომ „ტრადიციული“ სქემით შეიძლება კომპიუტერზე მივიღოთ მაღალი შედეგი, ამოცანებსა და ტესტებზე ინტენსიური მუშაობის შემთხვევაში („თუ იცის, კომპიუტერზეც დაწერს“), ფაქტობრივად, მცირე გამოწვევის გარდა, არ „მუშაობს“.

კომპიუტერის სასწავლო პროცესში ჩართვის აუსილბლობას ადასტურებს ჩვენი დაკვირვებით მიღებული გრაფიკები (სურ.2; სურ.3), რომლებზეც შედარებულია დაახლოებით თანაბარი სიძლიერის კლასები (8.1, 8.2 და 8.3), რომლებმაც, დაახლოებით ერთნაირი ინტენსივობის სასწავლო პროცესის დროს, ერთნაირი მოცულობის ამოცანები და ტესტები გაიარეს: 8.1 და 8.2 კლასი ამოცანებსა და ტესტებზე „ტრადიციული“ სქემით მუშაობდა, კომპიუტერის დატვირთვის გარეშე; ხოლო 8.3 – კომპიუტერის სასწავლო პროცესში ჩართვით (იმ მოსწავლეებთან, რომლებმაც ამის სურვილი გამოხატეს):

ა) სურ.2 გრაფიკზე წარმოდგენილია მე-8 კლასის მოსწავ-

ლეების კომპიუტერული გამოცდის შედეგები, როდესაც წერილი საკონტროლოს ჩატარების შემდეგ, მცირე დროის ინტერვალში, იმავე მასალაზე ჩატარდათ კომპიუტერული წერა (შედარებულია შედეგები „ახლად“ გავილი, „ჯერ არ დავინწყებულ“ მასალის საფუძველზე).







ბ) სურ.3-ზე წარმოდგენილი გრაფიკი შეესაბამება სასწავლო წლის ბოლოს ჩატარებულ კომპიუტერის წერის შედეგებს, როცა კომპიუტერში ჩატვირთული იყო მე-8 კლასის მთლიანი პროგრამა. ამ გრაფიკზე საყურადღებოა ის, რომ 8.3 კლასის იმ მოსწავლეებმა, რომლებიც სასწავლო პროცესის განმავლობაში არ ჩაერთვნენ კომპიუტერულ დატვირთვაში, იგივე შედეგები აჩვენეს, რაც არა კომპიუტერულ დატვირთვაში მყოფმა 8.1 და 8.2 კლასების მოსწავლეებმა.

მოყვანილი შედეგები, ორივე შემთხვევაში, ანალოგიურია და თვალსაჩინო – ცოდნის ასამაღლებლად და კომპიუტერულ გამოცდაზე შედეგების გასაუმჯობესებლად საჭიროა სასწავლო პროცესში კომპიუტერის რეგულარულად ჩართვა. მიგვაჩნია, რომ, მიუხედავად მცირე სტატისტიკისა, მიღებული შედეგები ამის აუსილბლობას აჩვენებენ.

შეგვიძლია დავასკვნათ: ჩვენი ღრმა რწმენით, კომპიუტერული გამოცდები მომავლის აუსილბლობა – ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ ბატონი გია დვალის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ „მე-11 კლასში გადასაყვანი გამოცდა უნდა ჩატარდეს კომპიუტერით“ (გამოცდების ეროვნული ცენტრი) (გ. დვალი – „განათლებისა და მეცნიერების რეფორმების სახელმწიფო კომისიის, პარლამენტის განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს“).

აქედან გამომდინარე, ცოდნის გარდა (ძირითადი და აუსილბელი მოთხოვნა), საჭიროა „ტრადიციული“ საკონტროლოებისა და გამოკითხვის ფორმიდან, თანდათანობით, „კომპიუტერულ“ სქემებსა და „კომპიუტერულ“ შეფასებაზე გადასვლა (არა მარტო ფიზიკაში), სწავლების პროცესში კომპიუტერული დატვირთვის ჩართვა მთელი სასწავლო წლის განმავლობაში (და არა მხოლოდ წლის ბოლოს), მე-7 კლასიდან დაწყებული მე-11 კლასის ჩათვლით. კომპიუტერული დატვირთვა უნდა გახდეს სწავლის პროცესის აუსილბელი ელემენტი. ამ საკითხის გადაჭრა ტექნიკურად საკმაოდ შესაძლებელია და დამატებით დაფინანსებას არ მოითხოვს. მოსწავლეს კომპიუტერთან რეგულარული მუშაობა სჭირდება, რათა თანდათანობით, სირთულის მიხედვით, თანმიმდევრულად გაიაროს ტესტები და ამოცანები, საკუთარი შესაძლებლობიდან გამომდინარე, დაბალი საფეხურიდან უფრო მაღალ საფეხურზე გადავიდეს, გამოუმუშავდეს კომპიუტერთან საგამოცდო ურთიერთობის ჩვევები, ფსიქოლოგიური განწყობა, შიშის დაძლევისა და კონცენტრაციის უნარი, გამოცდის წარმატებით ჩაბარების ტექნოლოგიური ცოდნა.

ლაზარე პერკინივილი
ფიზიკოსი, აკადემიური დოქტორი
ზურაბ მოსეშვილი
ფიზიკოსი, პროგრამისტი



სურ.1
○ – ზეპირი შეფასების ქულა; ● – წერილი საკონტროლოს ქულა;
△ – კომპიუტერული წერის ქულა; n – შეფასების რაოდენობა.

0251686912
სურ.1ა – მე-8 კლასი

სურ.2 – მიმდინარე საკითხების შეფასება
სურ.3 – წლიური საკითხების შეფასება
○ – 8.1 კლასი
● – 8.2 კლასი
△ – 8.3 კლასი
n – მოსწავლეების რაოდენობა

თვალსაზრისი

როგორ გავაკონტროლოთ 45000 საკლასო ოთახი

ამბობენ, რომ საქართველოში სულ 45000 საკლასო ოთახია. როგორ გავაკონტროლოთ ისინი? უფრო ნათლად, რა არის საჭირო იმისათვის, რომ 45000 საკლასო ოთახში გამუდმებით ხარისხიანი გაკვეთილები ჩატარდეს?

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამისათვის საჭიროა სათვალთვლო კამერების დამონტაჟება საკლასო ოთახებში. ცხადია, არა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამისათვის საჭიროა გამჭვირვალე საკლასო ოთახების შექმნა, რომლებიც შემინული იქნება. არა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ საჭიროა ნდობის საფეხურების (ან ნდობის ჯაჭვის) ჩამოყალიბება, რომლის შესახებაც უკვე გაუღერდა სოციალური ქსელების საშუალებით. არა, არც ეს მიმართა რეალურ და ეფექტურ გამოსავლად 45000 საკლასო ოთახის გასაკონტროლებლად.

მე სავსებით მარტივი და არაორიგინალური, საკმაოდ ბანალური გამოსავალი მინდა შეგახსენოთ, რომელიც კაცობრიობამ უკვე დიდი ხანია, რაც გამოცხადა და დანერგა. დანერგა, რადგან ძალიან შედეგიანი აღმოჩნდა.

ეს არის პერსონალის მოტივირების ხერხები, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე ეფექტურია შედეგთან მიმართული მოტივაციის მოდელი. ამის შესახებ ბევრჯერ დავწერე, ბევრგან ვქადაგებ, მაგრამ ჯერჯერობით ამაოდ. მინდა გითხრა, რომ ჩვენ, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მოსწავლეთა აკადემიური პროგრესის ასპექტებით ვერასოდეს მივალნენ მნიშვნელოვან შედეგებს, გვექნება ყოველთვის მინიმალური რეზულტატი, თუ სკოლის მართვის

კონცეფციაში არ მოვიზარებთ შედეგთან მიმართული მოტივირების მოდელს.

ჩვენთან უკვე დანერგილია მასწავლებელთა მოტივირების ერთ-ერთი მოდელი, რომელსაც შეიძლება ვუნოდოთ გარე მოტივირება. ეს არის ანაზღაურების ზრდა ფუნქციის ზრდის მიხედვით. მან მოგვცა გარკვეული შედეგები – გამოიწვია მასწავლებელთა დანტრერესება ცოდნის შეძენის კუთხით და უფრო მცოდნე მასწავლებლის გაკვეთილის ხარისხიც გაუმჯობესდა, მაგრამ მასწავლებელთა უმრავლესობამ გაკვეთილის ხარისხი გააუმჯობესა მხოლოდ მცირედით: გარკვეულწილად გააუმჯობესეს ურთიერთობები ბავშვებთან, მხოლოდ ზოგჯერ ამზადებენ რესურსებს, მხოლოდ ზოგჯერ გეგმავენ გაკვეთილებს და ა.შ. ამით კი შორს ვერ წავალთ. ჩვენ, საქართველოს, გვჭირდება მეტი, კერძოდ, რეველუციური პროგრესი. ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ მხოლოდ ევოლუციური წინსვლას დავჯერდეთ.

მოკლედ, 45000 საკლასო ოთახის გაკონტროლების ეფექტური გზა, ჩემი აზრით, იქნება მასწავლებელთა შედეგებთან მიმართული მოტივაციური კონცეფციის დანერგვა. ბიზნესის სფეროში წარმოებული კვლევების მიხედვით, იქ სადაც ასეთი მოდელია დანერგილი, შრომის ნაყოფიერება 35%-ით იზრდება, ხოლო იმ ორგანიზაციაში, სადაც ასეთი მოდელი არ მოქმედებს, პერსონალი მხოლოდ იმდენს მუშაობს, რამდენიც საკუთარ თავს სამსახურის შესანარჩუნებლად.

რა იგულისხმება შედეგთან მიმართული მოტივაციური მოდელი-

ში? ყოველი სემესტრის ბოლოს გაიზომოს კლასის აკადემიური მდგომარეობა თუ პროგრესი და, წარმატების შემთხვევაში, მასწავლებელზე მნიშვნელოვანი პრემია გაიცეს.

უნდა ითქვას, რომ მასწავლებელი, თუნდაც მენტორის სტატუსიც რომ ჰქონდეს, თუ არ იქნება მოტივირებული, არ მოემზადება ყოველი გაკვეთილისთვის რესურსებით, მოტივაციური სტრატეგიებით, განმავითარებელი შეფასების საშუალებებით და ხარისხიანი გაკვეთილის სხვა ფაქტორებით. რატომ? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ქვეყნის ფსიქოლოგიას მოვიშველიებ: ქვეყნის განსახორციელებლად არ კმარა მხოლოდ ცოდნა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მოტივი, როგორც ქვეყნის მოტივი და დეტერმინანტი. ასევე ხარისხიანი გაკვეთილის ჩასატარებლად არ კმარა მხოლოდ მასწავლებლის ცოდნა და კომპეტენციები, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ის ფაქტორები, რომ მის მიერ მოსწავლეებთან მიმართებაში მიღწეული მნიშვნელოვანი შედეგები მის საკუთარ შემოსავლებზე მნიშვნელოვან ასახვას ჰპოვებს. ვფიქრობ, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შევძლებთ 45000 საკლასო ოთახში გამუდმებით ხარისხიანი გაკვეთილების ჩატარების მიღწევას.

დავით ნაჭყვიაძე
სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის
დიდი ჭყონის №1 საჯარო სკოლის დირექტორი

პროექტის კვლევას

თანამშრომლობითი კულტურის გასაძლიერებლად

2018 წლის 22 ნოემბრიდან 2019 წლის 7 ივნისამდე, საქართველოს მასშტაბით, განხორციელდა ძალიან საინტერესო პროექტი – „საჯარო სკოლების მათემატიკის მასწავლებელთა თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერება და პროფესიული განვითარება“, რომელიც მიზნად ისახავდა საბაზო და საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებელთა თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერებას, მათ ჩართვას გამოცდილების გაზიარების, საუკეთესო პრაქტიკისა და მიღწეული შედეგების გაანალიზების პროცესში.

პროექტმა თავის სათქმელი თქვა, რისთვისაც დასაწყისშივე მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო მის მესვეურებს, დღიდან დაწყებისა დამთავრებამდე, ვიყავით ყურადღების ქვეშ და, რაც მთავარია, სამუშაო მასალა იყო მნიშვნელოვანი და საინტერესო.

პროექტი დაფინანსდა სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული გრანტით. მასალებს გვანდობდა სსიპ-ის ა(ა)იპ „საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებულთა პროფესიული განვითარების ცენტრი“ (აღმასრულებელი დირექტორი – მარიამ მკალაღიშვილი). სწორედ ამ პროექტის ფარგლებში გავმართეთ სამუშაო შეხვედრები კოლეგებთან, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით. რაკი ფასილიტატორობა მხვდა წილად და გაეითავისე პასუხისმგებლობა, საქმის ბოლომდე მიყვანას ვცდილობდი. მინდა გითხრა, რომ გზა რომელიც გავიარე, საინტერესო და მიმზიდველი აღმოჩნდა. კოლეგები შეხვედრიდან შეხვედრამდე ვიზრდებოდით.

პროექტი ითვალისწინებდა სამ სამუშაო შეხვედრას: I – მათემატიკური აქტივობების გამოყენება სწავლისა და ათვისების შემოწმებისთვის; II – როგორ ჩავატაროთ განმავითარებელი შეფასება მათემატიკაში; III – დიფერენცირებული სწავლების დაგეგმვა და წარმართვა მათემატიკაში.

I შეხვედრა პროექტის კონსულტანტმა ჩაატარა, ხოლო II და III მე წარმართე. სამუშაო შეხვედრების ფასილიტატორობას, პროექტის ფარგლებში ჩატარებული სამი სამუშაო შეხვედრის შემდეგ, IV შეხვედრის დამოუკიდებლად ორგანიზებისა და წარმართვის უფლება მოგვეცა. I9 მაისს შედგა IV დამოუკიდებელი შეხვედრა ბოლნისის №5 საჯარო სკოლაში, რომელიც გავლამაზეთ ღონისძიებით „პრინციპა მათემატიკა“ და ბანკეტით.

19 მაისის დღიდან ჩემთვის ნამდვილად ახლდა ვნებათაღელვა. სამ ნაწილად დაგეგმილი დღე: სამუშაო შეხვედრა გვემის მიხედვით, ღონისძიება და ბანკეტი, კოლეგებთან და მონვეულ სტუმრებთან ერთად, ნამდვილად მაძლევდა ღელვის მიზეზს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს ღელვა მაშინვე გაქრა, როგორც კი სკოლაში შევბიჯე. ჩემი ღამაზი სკოლა, რომელიც რეაბილიტირებულია ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ, კიდევ უფრო გალამაზებულიყო. სამი მზა ოთახი მაჩვენა სსიპ ბოლნისის №5 საჯარო სკოლის დირექტორმა ახალგაზრდა,

ენერგიულმა, შრომისმოყვარე ქალბატონმა, მადონა ლომსაძემ; საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ბოლნისის რაიონული ორგანიზაციის N5 საჯარო სკოლის პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარემ, ლეილა ალადაშვილმა, შეხვედრისთანავე, მომცა მშვიდად მუშაობის საშუალება. ქალბატონი ლეილა ღონისძიების მონაწილედ იყო, დიდი წვლილი შეიტანა „პრინციპა მათემატიკის“ წარმოქმნაში, სადაც პოეზია, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება ერთმანეთს. მან ხაზი გაუსვა პროექტის დამსახურებას კათედრათაშორის ინტეგრაციის საქმეში.

ჩვენი სკოლის მნიშვნელოვანი დღით დაინტერესდნენ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ბოლნისის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ნანუსი მტკრეველი და მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი იამზე სვანიძე. სტუმრად გვეწვია პროექტში არჩართული დაბა კაზრეთის №1 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ლეილა მალაძე. ლექსით ამტყველებულმა გეომეტრიულმა ფიგურებმა მსმენელი ნამდვილად მოხიბლა. ლეილა ალადაშვილმა მოახდინა რა, პოეზიის, ბუნებისა და მათემატიკის ინტეგრირება, საინტერესო ამოცანა-ლექსებით ნახალისა მოსწავლეები; N5 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა, ზურაბ ყაყელაშვილმა, თავის მონაფეხთან ერთად, ბაბილონური მათემატიკა გავციოცხლა და ღამაზი ცეკვაც წარმოგვიდგინა. დაბა კაზრეთის №2 საჯარო სკოლის მათემატიკის პედაგოგი ელენე ბასილაშვილი, პროექტის მიმდინარეობისას, მოსწავლეთა ხელით დამზადებული დიდი ზომის ფორმატის „ნიგნებით“ გვეწვია. ღონისძიება მხატვრულად დაგვიმზენეს და გავციხალისეს N5 საჯარო სკოლის მასწავლებლების – ხათუნა ფრუიძის და ხათუნა ბერძენაძის – მოსწავლეებმა. ღონისძიების წარმართვაში თავისი წვლილი შეიტანა დირექტორის მოადგილემ, ნეკა ბახტაძემ.

მე შევეცადე ამოცანა-ლექსებში გამეცოცხლებინა მათემატიკური მოქმედებები: შეკრება, გამოკლება, გამრავლება, გაყოფა, ფესვი, ხარისხი, ლოგარითმული და ტრიგონომეტრიული ფუნქციები. ღონისძიებაზე ცოცხლად ჩატარებულ მინი-გაკვეთილებზე მოვახდინე წინარე ცოდნის გააქტიურება, გამოვიყენე განმავითარებელი შეფასება და მოსწავლეები იქვე ავიყვანე შედარებით მაღალი დონის სააზროვნო უნარზე. მეთერთმეტეკლასელებმა ნაიკითხეს მათემატიკური ლექსები და შეძლეს ტექსტის გააზრება, რაც დასმულ კითხვებზე პასუხის სწორად გაცემასა და ტრანსფერში გამოიყვანდა. ამკარად გამოიკვეთა მასწავლებლების მიერ პროექტის ფარგლებში შეძენილი ცოდნის გამოყენება.

და მაინც, საიდან იქნებოდა ასეთი მუხტი, რომ არა ეს პროექტი, საიდან დაიბადებოდა IV დამოუკიდებელი შეხვედრის სურვილი, რომ არა პროექტში ჩართული ჩემი კოლეგების უკუ-

კავშირი, რომელიც ისეთ აღმაფრენას მანიჭებდა, რომ შეხვედრიდან შეხვედრამდე საგანგებოდ ვემზადებოდი მათ წინაშე პირნათლად წარსადგენად. აი ისინიც: ზურაბ ყაყელაშვილი, ნინო ჯოხაძე – N5 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებლები; ნელი ლარცულიანი, მანანა შკუბულიანი, ნათია ნონიაშვილი – N1 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებლები; თამარ კორძაძე, ეთერ ქურდიანი – N3 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებლები; ნინა კოდიასვილი, მარინე ლვედაშვილი – სოფელ რატევიანის საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებლები; ელენე ბასილაშვილი, ჟანა რაზმაძე – დაბა კაზრეთის №2 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებლები; ნანა ბაქრაძე, ქეთევან ურუშაშვილი – დაბა თამარისის საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებლები.

დაგეგმილი აქტივობების ფარგლებში, გამოითქვა სხვადასხვა აზრი, გავისხენთ ბევრი რამ წარსულიდან, შევადარეთ თანამედროვეს. გამოიკვეთა აზრი, რომ ეს მიდგომები უცხო არ არის, თუმცა უფრო მეტად უნდა გავაძლიეროთ მუშაობა ამ მიმართულებით. შესაძლოა, ჩვენ, პროექტის მიმდინარეობის პროცესში, უშუალოდ გაკვეთილები ვერ ჩავატარეთ (ამისთვის საჭირო იყო შესაბამისი კლასის და მასალის თანხვედრა), თუმცა ეს არ გვაძლევს მოდუნების საფუძველს. მიმართა, რომ მასალა, რომელიც ოთხი შეხვედრის ფარგლებში დაგვიგროვდა, ნამდვილად კარგი რესურსია იმისთვის, რომ გზადაგზა გამოვიყენოთ და დავნერგოთ გაკვეთილებზე. კონფერენციამ, რომელიც 25 მაისს ჩატარდა დედაქალაქში, კიდევ უფრო მეტი სტიმული მოგვცა მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისთვის.

ალბათ დამერწმუნებინა კოლეგები, როგორც დიფერენცირებულ სწავლებას, ასევე განმავითარებელ შეფასებას დიდი სიყვითის მოტანა შეუძლია მოსწავლეებისთვის, თუკი სწორად იქნება გამოყენებული. ეს უკანასკნელი კი, ჩვენს მონდომებასა და კომპეტენციაზე გადის.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჩვენს სკოლაში გაჩნდა სურვილი, კოლეგებთან წარმართო სამუშაო შეხვედრები თემაზე „განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება“, სადაც დანერგულით განვიხილავ განმავითარებელი შეფასებისა და დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტებს. ამ შეხვედრაზე ჩვენი სკოლა კვლავ უმასპინძლებს დანტრერესებულ პედაგოგებს სხვა სკოლებიდან. ვფიქრობ, მასალა საინტერესო იქნება არა მხოლოდ მათემატიკის მასწავლებლებისთვის, არამედ ნებისმიერი სხვა დისციპლინის პედაგოგებისთვისაც. ჩვენი შეხვედრები ხელს შეუწყობს როგორც მათემატიკის მასწავლებელთა და სხვა კათედრების პედაგოგთა, ასევე სკოლათაშორის თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერებას.

მზია გაფრინდაშვილი
ბოლნისის №5 საჯარო სკოლის
მათემატიკის წამყვანი მასწავლებელი, პროექტის ფასილიტატორი



სამოღლო გაკვეთილი

თვითშეფასების კითხვარი

Table with 3 columns: №, სახელი, შეფასება. Rows 1-3: 1. გავიგე ახალი მასალა, 2. შევეძელი ამოცანის დამოუკიდებლად ამოხსნა, 3. შევეძელი ჯგუფში თანამშრომლობა

სამოღლო ინტაგრირებული გაკვეთილის რაფლაქსია

2019 წლის 17 მაისს, მე-8 კლასში, ჩავატარე ინტაგრირებული სამოღლო გაკვეთილი. თემა, რომელიც ავირჩიე, იყო მათემატიკური პრინციპები ხელოვნებაში (მათემატიკისა და ხელოვნების ელემენტების სინთეზი).

სნაკუბის მეთოდი

რესურსი: „მოცეკვავე პლანეტები“

საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობისა და აკადემიური მოსწრების ამაღლების უმთავრესი ფაქტორი განწყობა და მოტივაციაა. მასწავლებელი ვალდებულია, მოსწავლეები განაწყობოს საგაკვეთილო პროცესისთვის, აამაღლოს მათი მოტივაცია და დააკმაყოფილოს მათი ინტერესები.

განსაკუთრებით მიზნობრივია რესურსის გამოყენება ბუნებრივ ცოდნის გაკვეთილზე. მრავალფეროვანი სასწავლო რესურსის გამოყენებით, შესაძლებელია ახალი მასალის მარტივად გაგება და ცოდნის ხანგრძლივად შენახვა.

რესურსი შედგება მკვრივ მასალაზე დახატული ცხრა პლანეტის მოდელისაგან, რომელთა შექმნის დროსაც გავითვალისწინებთ მათი ზომა და ფერი. დამზადებული გვაქვს მზის მოდელიც, რათა შევძლოთ მზის ოჯახის იმიტაცია.

სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის მნიშვნელოვანი როლი აკისრია სწორად შერჩეულ სასწავლო რესურსს:

- რესურსი ეხმარება მოსწავლეს გაკვეთილის უკეთ გაგებაში;
სასწავლო პროცესი ხდება სახალისო და საინტერესო;
მოსწავლეები მეტად არიან ჩართული საგაკვეთილო პროცესში;
იზრდება მოტივაცია, უმჯობესდება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება.

რამ განაპირობა რესურსის „მოცეკვავე პლანეტები“ შექმნა?

მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებიდან გამომდინარე, ამ ასაკის ბავშვები ადვილად აღიქვამენ ვიზუალურ მასალას. განსაკუთრებით ამახსოვრდებათ ის, რასაც ხედავენ, ეხებიან და თავად აკეთებენ.

გამორჩეულად საინტერესოა მათთვის დიდაქტიკური თამაშები. თამაშის დროს ბავშვი თავს ლაღად გრძნობს, ემოციურად და ფიზიკურადაც. ამ დროს ბავშვები არა მარტო სიამოვნებას იღებენ, არამედ თავსაც იმკვიდრებენ სოციალურ გარემოში. თამაში ილუზიისა და წარმოსახვის სამყაროში ცხოვრებაა. სწორედ ამიტომ მზის სისტემის პლანეტების შესწავლის დროს, ამ თემის აქტუალობიდან გამომდინარე, გადავწყვიტე შექმნა მცირე ზომის სასწავლო რესურსი, რომლის გამოყენებითაც, თამაშ-თამაშით, მოსწავლეები შეისწავლიდნენ პლანეტების მდებარეობას მზის ოჯახში, მათ მოძრაობას ორბიტაზე. მოსწავლეების მეხსიერებაში განსაკუთრებულად აისახება და რჩება ის საკითხები, როცა თვითონ არიან მოქმედი პირები, ამ შემთხვევაში, გამოდიან „პლანეტების“ როლში.

მიზანი:

რესურსის „მოცეკვავე პლანეტები“ გამოყენებით მოსწავლეები დააკვირდებიან მზის ოჯახს, ადვილად შეძლებენ აღიქვან და დაიმახსოვრონ პლანეტების განლაგება, მათი მოძრაობის ტრაექტორია ორბიტაზე.

სტანდარტი:

ბუნება.IV.8. მოსწავლეს შეუძლია მზის სისტემის აღწერა.

- იყენებს ილუსტრაციებს და ახასიათებს მზის სისტემას;
ხატავს მზის სისტემას და თანმიმდევრულად განალაგებს მზიდან დაშორების მიხედვით.

დაცულია თუ არა ეთიკის არსებული კანონზომიერება:

რესურსის დამზადების დროს გავითვალისწინებთ მეოთხე კლასის მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. რესურსი მიზნობრივია, არის სრულიად უსაფრთხო.

ტორის სქემაში (ფლიზატივი) მუშაობდნენ ინდივიდუალურად, რის შემდეგაც იპოვეს საერთო კავშირი ხელოვნების ნამუშევრებსა და მათემატიკურ პრინციპებს შორის.

მოსწავლეებმა დაინახეს, რომ ფილმში დემონსტრირებული ხელოვნების ნიმუშების გარდა, ოქროს პროპორცია გამოყენებულია ძალიან ბევრ საყოფაცხოვრებო ნივთში (მაგ: მონა ლიზას პორტრეტში, ეგვიპტის პირამიდებში, აიფონის ტელეფონის ზომებში, როიალის კლავიშებზე და ა.შ.).

მოსწავლეებს ძალიან მოეწონათ საგაკვეთილო პროცესში ისტ-ის გამოყენება, რამაც ხელი შეუწყო მათი მოტივაციის ამაღლებას და ჩართულობის ზრდას.

გაკვეთილი გემის შესაბამისად წარმართა, გეგმაში კორექტირება არ დამჭირდა. მოსწავლეების აქტიური ჩართულობიდან და პასუხისმგებლობის გათავისებიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ გაკვეთილის ბოლოს მიზანი მიღწეულ იქნა.


სამომავლოდ, ვაპირებ, უფრო მეტად გამოვიყენო სხვადასხვა საგნებთან ინტეგრირება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა კოგნიტიური და შემეცნებითი უნარების განვითარებას. პასიური მოსწავლეების საგაკვეთილო პროცესში მეტი ჩართულობისთვის, მოვიძიებ ახალ საინტერესო რესურსებს.

შახვალათ ნაბიჯი

სისი დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ტნუსის საჯარო სკოლის დირექტორი, მათემატიკის უფროსი მასწავლებელი

გაკვეთილის მიმდინარეობა (რესურსის გამოყენების ინსტრუქცია)

- გაეცანა მოსწავლეებს გაკვეთილის თემა და მიზანი;
თეორიულად გავიმეორეთ „მზის ოჯახი“;
ვისაუბრეთ პლანეტების განლაგებასა და მათ ორბიტაზე;
მასალის უკეთ აღქმისა და განმტკიცების მიზნით, გავედით სკოლის ეზოში, სადაც მათ დახვდათ დახაზული წრეები – პლანეტების „ორბიტის“ იმიტაცია;
მოსწავლეებს ვთხოვ, აიღონ ნებისმიერი პირობითი „პლანეტა“;
„მზე“ იჭერს თავის ადგილს;
ერთად მუსიკას, მოსწავლეები ცდილობენ, იპოვონ მათ მიერ აღებული „პლანეტების“ შესაბამისი ადგილები და იმორაონ მხოლოდ მათთვის განკუთვნილ წრეზე – „ორბიტაზე“ ისე, რომ არ დაირღვეს კანონზომიერება.



განი, ცოცხალი და არაცოცხალი სხეულები, მოვიფიქროთ და შევქმნათ მოსწავლეთა დახმარებით. მთავარია, გაკვეთილის თემა, მიზანი, რესურსი და შედეგი თანხვედრი იყოს. არაფერია იმაზე დიდი ბედნიერება მასწავლებლისათვის, როცა გაკვეთილი სახალისო, საინტერესოა და გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეთა კმაყოფილ, ბედნიერ სახეებს ხედავს.

ლეილა ქათამაძე
ციხისძირის საჯარო სკოლის
დანეგბითი კლასების მასწავლებელი

ინოვაციური გაკვეთილი

ბა, მონიტორინგი, საკუთარი შეცდომებით და წარმატებებით სწავლა, გადწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, პრობლემის ხედვა და მისი მოგვარებისთვის სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება. ინფორმაციის ერთი სისტემიდან მეორეში გადატანა, სიტყვების, ტექსტისა და ნახატი ერთმანეთთან დაკავშირება, მიღებული შედეგის შეფასება და გაუმჯობესების გზების ხედვა.

თვითშეფასების კითხვარი

მოსწავლის სახელი გვარი

საკლასო კლასი

Table with 3 columns: №, კრიტერიუმები, დასახელება (მოკლე კომენტარი)

თვითშეფასების სქემა

მოსწავლის სახელი გვარი

საკლასო კლასი

Table with 4 columns: №, ცოდნა რომელსაც დავეუფლეთ, დამაკმაყოფილებელი, ვსაჭიროებ განვითარებას

სახელი გვარი:

დამაღმრავლის სირთულის შეფასება თვითშეფასების კითხვარის მიხედვით

ინსტრუქცია: მოცემული სიტყვებიდან (საინტერესო, სახალისო, სასურველი, მარტივი, ადვილად გასაგები, ნათელი, რთული, საშუალო, მოსაბეზრებელი, გაუგებარი და. სხვ. შეგიძლიათ ერთი და იმავე სიტყვის მრავალჯერ გამოყენება) აირჩიეთ და შეუსაბამეთ ქვემოთ მოცემულ დავალბებს – ჩანერეთ ცხრილის თავისუფალ ადგილებში.

Complex block containing a table for word frequency, a map of Georgia, and a bar chart comparing word usage between 2018 and 2019.

Table with 5 columns: სხვადასხვა ცხრილები, სიტყვების განმარტება, რუკის ანალიზი, დიაგრამა, დავალების ფორმა

მელანო ზოიძე (ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლის ისტორიის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1. შებრუნებული საკლასო ოთახის დანერგვა (მასწავლებლის გზამკვლევი) 2017წ.;
2. VIII კლასის ისტორიის სახელმძღვანელო. ავტ. გ. ხანიკიძე, რ. გაჩეჩილაძე, ლ. გორდეზიანი. გამომც. ბაკურ სულაკაური;
3. ანა ფრანკი, „უკანა სახლი“.

ელექტრონული რესურსები:

- 1. https://1tv.ge/news/donald-trampma-ierusalimi-israelis-dedaqalaqad-aghiara/
2. https://jam-news.net/%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%A8-%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%9D%E1%83%90-%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98/?lang=ka

სკორტი

მოკრივე მოსწავლეთა წარმატება

ბოლო პერიოდში, პროფესიული სპორტის პარალელურად, აქტიულოური ხდება სხვადასხვა რანგის – კონტინენტური თუ მსოფლიო ჩემპიონატებში მოსწავლეთა შორის. სპორტის სხვადასხვა სახეობაში თანდათან ფეხს იკიდებს ანალოგიური რანგის შეჯიბრებები, ჩვენები კი ასეთ ტურნირებში ყოველთვის დიდი წარმატებით გამოდიან.

გამონაკლისი არც კრივია, სადაც ზაფხულის მიწურულს ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი მოსწავლეთა შორის. ეს ფაქტი ჩვენთვის ორმაგად სასიხარულო იყო იმიტომ, რომ ჩემპიონატს თბილისმა უმასპინძლა, თანაც – საკმაოდ მაღალ დონეზე, რაც მთავარია, ჩემპიონატში წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი მოსწავლე მოკრივეები. მათ 15 მედალი მოიპოვეს: 7 ოქრო, 4-4 ვერცხლი და ბრინჯაო. მისასალმებელია, რომ მედლები არა მარტო ბიჭებმა, არამედ გოგონებმაც მოიპოვეს. მათ ანგარიშზე 3 ვილდოა – 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაო. ჩემპიონები გახდნენ: გორ აივაზიანი (41.5), გოჩა გორდულავა (44.5), დავით ჯაფარიძე (46), საბა ერემიშვილი (48), დემურ ქაჯაია (52), გია მთავაძე (65) და ტარიელ შარიქაძე (90-105); ფინალში ასევე იასპარეზეს, მაგრამ დამარცხდნენ და ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ: თათია ბუკია (70), ლუკა წულეისკირი (38.5), მურად ტაგვიევი (40) და დავით ხუციშვილი (90); ბრინჯაოს მედლებს თამარ სამელია (38), ელენე თოდუა (44), ლუკა ბასარია (43) და თემურ ქართველიშვილი (72) დაეუფლნენ.

როგორც გითხარით, საქართველოს კრივის ფედერაციამ ევროპის ჩემპიონატს კარგად უმასპინძლა. ტურნირი ოლიმპიურ პარკში, ფრენბურთის დარბაზში, ჩატარდა და მასში 30 ქვეყნის 450-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა.

სამხელისუფლებიანობა ჭაბუკებში

გრძელდება ჭაბუკ მორაგბეთა „ა“ ლიგის საქართველოს ჩემპიონატი, სადაც „ოქროს ჯგუფში“ მესამე ტურის შეხვედრები გაიმართა. შარშანდელმა ვიცე-ჩემპიონმა და წელს ლიდერთა სამეულში მყოფმა ქუთაისის „აიამ“ კვლავაც დამაჯერებლად იბურთავა და თანაქალაქელი „არესი“ სოლიდური სხვაობით – 43:7 დაამარცხა.

ჩემპიონატის კიდევ ერთმა თანალიდერმა და მოქმედმა ჩემპიონმა, თბილისის „ლელომ“ ასევე თანაქალაქელი „ლოკო-მოტივი-ხულიგანა“ დაამარცხა – 36:6, თუმცა ამ შეხვედრაში პირველად დადგა ნაგების საფრთხის წინაშე და პირველი ტა-

იმი მხოლოდ 7:6 დასრულდა. მეორე ტაიმში ლელოლებმა ვითარება რადიკალურად გამოასწორეს, თამაშის ხარისხი მკვეთრად გააუმჯობესეს და მეტოქეს 5 ლელო დაუდეს. დაძაბული გამოდგა ლიდერთა ჯგუფში მყოფი თბილისის „ხვამლისა“ და რუსთავის „ხარების“ პაექრობაც. „ხარები“ ბევრს კი ეცადნენ და გვარიანად „დარქინეს“ მეტოქე, მაგრამ „ხვამლის მთის დაპყრობა“ მაინც ვერ შეძლეს – 48:0 „ხვამლის“ სასარგებლოდ. ტურის კიდევ ერთ შეხვედრაში მარნეულის „არმაზ-მა“ თბილისში, ვაზისუბანში, პირველი გამარჯვება მოიპოვა დედაქალაქურ „აკადემიასთან“ შეხვედრაში – 40:7.

სამი ტურის შემდეგ, „ოქროს ლიგას“ ქულათა მაქსიმუმით – 15-15 ქულით „ლელო“, „აია“ და „ხვამლი“ ლიდერობენ, თუმცა ბურთების უკეთესი სხვაობით, სატურნირო ცხრილის პირველ საფეხურზე „ლელო“ მოკალათებული. 27 სექტემბერს მომდევნო ტურის გამორჩეული პაექრობა ქუთაისში გაიმართება, სადაც „აია“ „ხვამლს“ უმასპინძლებს.

კასპელეხის ფინალი ყაზახეთში

ქართული ფინალით დასრულდა ალმატიში ჭაბუკ ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატი – ბიჭებში მძიმე წონის ფინალში ერთმანეთს ირაკლი დემეტრაშვილი და გიგა ტატიაშვილი შეხვედნენ. ამ ნაკრების წლებანდელ კარიერაში ეს არ არის ერთადერთი ქართული ფინალი: ევროპის ჩემპიონატზე, ასევე მძიმე წონის ფინალში, ისევე ირაკლი და გიგა შეხვედნენ ერთმანეთს. ოლონდ ამჯერად შედეგი განსხვავებულია – დემეტრაშვილმა ყაზახეთში რევანში აულო და დაამარცხა ტატიაშვილი. აღსანიშნავია, რომ ორივე კასპელია და ახლო მეგობრებიც არიან.

მთლიანობაში, ჭაბუკებში მსოფლიოს წლებანდელ ჩემპიონატში, საქართველოს ნაკრებმა 3 მედალი მოიპოვა – თითო სინჯის სამივე ვილდო. ჩემპიონი დემეტრაშვილი გახდა, ტატიაშვილმა ვერცხლი მოიპოვა, ბრინჯაოს კი, 50 კილოგრამში, ნიკა ბაჩიაშვილი დაეუფლა. ქართული ფინალის ფონზე საერთო გუნდური ჩათვლა ბევრს არაფერს ნიშნავს, თუმცა ბიჭების გუნდი თავის კატეგორიაში მესამეზე გავიდა, აპონიისა და რუსეთის შემდეგ.

წელს სამივე მედალოსანი კარგ სეზონს ატარებს. ჭაბუკებს სამი პირველხარისხოვანი ტურნირი ჰქონდათ – ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატები, ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი. ბაჩიაშვილმა და ტატიაშვილმა სამივეში იასპარეზეს, დემეტრაშვილს კი ფესტივალზე არ უჭიდავია, რადგან იმ ტურნირზე წონის გაორება არ შეიძლება, მწვრთნელებმა კი ტატიაშვილი ნაიყვანეს, რადგან მან ევროპის ჩემპიონატზე უკეთესი შედეგი მოიპოვა. ბაჩიაშვილმა ფესტივალზე გაიმარჯვა, ევროპა-მსოფლიოზე კი

მესამეზე გავიდა. ტატიაშვილმაც სამივეგან მოიპოვა მედალი – ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო, ხოლო დემეტრაშვილმა, როგორც გითხარით, ორ ტურნირში იჭადავა და ოქრო-ვერცხლი მოინადავლა.

ჩვენმა მძიმეწონოსნებმა, ალმატიში, ქართულ ფინალამდე მნიშვნელოვანი, ლამის ფინალის ტოლ-ფასი შეხვედრები მოიგეს. ასე მაგალითად, დემეტრაშვილმა, უკვე მეორე წრეში, რუსთა ევროპის მესამე პრიზიორი და ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ფინალისტი ახნადარ მარგალიტი დაამარცხა, ტატიაშვილმა კი ნახევარფინალში იაპონელს მოუგო. მართალია, დემეტრაშვილმა მაგომადოეს ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალშიც აჯობა, მაგრამ თქმაც არ უნდა, რომ ბევრი, მისაღები თუ მიუღებელი ფაქტორის გამო, რუსების იგნორირება არ შეიძლება. თუმცა, საბედნიეროდ, დემეტრაშვილმა ამჯერადაც იმარჯვა და მეტოქე მალევე იმდენად იოლად გამოცერა გარედან, რუსი ბურთით გადგორდა იპონზე. ისე კი, ჩვენმა ათლეტმა ამ ტურნირზე რუსებს მეორე ფალავანიც დაუმატა და ისევე ნახევარფინალში, სადაც ვაზარით სძლია ნოდარ ონოფრეენკოს. თუმცა რუსებამდე, სულ პირველ პაექრობაში, დემეტრაშვილმა ინდოელი იამ განგასილ დაამარცხა ასევე წმინდად, მეოთხედფინალში კი მოლდოველი ალინ ბაგრინიც დალო ბეჭებზე.

ტატიაშვილი ფინალამდე იპონებით მივიდა: პირველივე შეხვედრაში ტაჯიკი იბროჰიმოვი ელმუროდოვი დაადგო სუფთად, მას ფრანგი მატიას ანგოლინიც მიაყოლა, ნახევარფინალში კი ორმაგად იყოჩაღა და იაპონელი მიცუკი სუგაჰარა დააიპონა – წელში კარგად შევიდა და ბრუნით გვერდზე გაისროლა.

ქართული ფინალი უშეღავათო გამოდგა და დამატებით დროში გაგრძელდა. ბუნებრივია, ისინი კარგად იცნობენ ერთმანეთს და ძნელი იყო ერთურთისთვის რაიმე სიახლის შეთავაზება, თუმცა, ვერც იმას ვიტყვი, რომ არ ცდილობდნენ და დაცვიდან ჭიდაობდნენ. ამის მიუხედავად, ძირითად დროში ილეთის გაკეთება, საკმაოდ ბევრი მცდელობის მიუხედავად, ვერც ერთმა ვერ შეძლო. შეხვედრა დამატებით დროში გაგრძელდა, მეექვსე წუთი მიმდინარეობდა, როცა დემეტრაშვილმა გარე სარმით ვაზარი მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ მეტოქის პატივისცემის ნიშნად სიხარულით დაემოცა არც გამოუხატავს, პირიქით – ანუგემა მეგობარი.

ბაჩიაშვილი ჯგუფში ვაზარით დამარცხდა უკრაინელთა ევროპის ვიცე-ჩემპიონ მიკიტა ჰოლოზოროდკოსთან, მანამდე კი იოლად, წმინდად მოუგო ფრანგ ლუის პესტელარს. დამამშვიდებელში ჩვენმა ფალავანმა კვლავაც იპონით მოიგო მონღოლ მენდსაისან ნიამსურენთან, ბრინჯაოსთვის შეხვედრაში კი რუმინელი ალექსანდრე მატეი წმინდად დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ ფესტივალის ფინალშიც მას მოუგო.

მომზადდა ირაკლი თაბაძემ

კალიგრაფიკა



„ანბანთქება“ (ქართული კალიგრაფიის მიღწევები) – ასე ჰქვია ორი ქართველი კალიგრაფის – **ოთარ მეგრელიძისა** და **გიორგი სისაურის** – ნამუშევრების გამოფენას, რომელიც 27 სექტემბერს, ხელოვნების სასახლეში გაიხსნა და 3 ოქტომბრამდე გაგრძელდა, ექსპოზიციამ მნახველს ავტორთა მიერ შესრულებული ქართული დამწერლობის უნიკალური ნიმუშები წარუდგინა. აღსანიშნავია, რომ გამოფენა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ორგანიზებით, მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში, გაიხსნა.

ორივე ავტორის ხელოვნებამ მსოფლიოს წამყვან ინსტიტუტებში უკვე მოიპოვა აღიარება. მიმდინარე წელს კი, ხელოვნების სასახლისა და ბრიტანეთის ეროვნულ ბიბლიოთეკას შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, ხელოვნათა მიერ მომზადებული რამდენიმე ილუმინირებული კალიგრაფიული ნიმუში ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში გაიგზავნება და მოხატულ ხელნაწერთა ფონდში განთავსდება, სადაც, სამწუხაროდ, დღემდე არც ერთი ქართული ილუმინირებული ხელნაწერი არ იყო დაცული.

ოთარ მეგრელიძე – ქართველი მხატვარი, კალიგრაფი, წიგნის ილუსტრატორი, მრავალი ქართული და უცხოური გამოცემის, მათ შორის სასკოლო ლიტერატურის, დამსურათებელია. იგი ორიგინალური სტილის გრაფიკოსია, ამავე დროს, შთაბეჭდავი ნამუშევრები აქვს ისეთ მიმართულებებში, როგორცაა: ქსოვილის დიზაინი, ბატიკა, გობელენი, პოპარტი, ფერწერა და ანიმაციის გრაფიკა. ოთარ მეგრელიძის ნახატები არაერთხელ გამოიფინა საქართველოს, შოლანდიის, გერმანიის, უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და იუგოსლავიის ქალაქებში. მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს, იაპონიის, საფრანგეთის, ინგლისის, აშშ-ს, შოლანდიის, ესპანეთის, გერმანიისა და სხვა მრავალი ქვეყნის კერძო კოლექციებში.

გიორგი სისაური – 23 წლის მხატვარი, კალიგრაფი, მწერალი, პოეტი და ხელოვნებათ-

მცოდნე. 7 წლიდან ხატავს ბიბლიურ სცენებს, პორტრეტებს, ფიგურატიულ, აბსტრაქტულ კომპოზიციებს. 2010 წელს, 14 წლის ასაკში, მისი გრაფიკული ნამუშევრებით ხელოვნების აგენტები დაინტერესდნენ. მათი მეშვეობით გიორგის ნახატები „ლუვრის“ მუზეუმის ხელოვნების ექსპერტებმა იხილეს და აღფრთოვანდნენ, რის შემდეგაც მხატვარმა პარიზის ხელოვნების აკადემიიდან მიიღო მიწვევა.

2010 წელს მოენყო მისი პირველი პერსონალური გამოფენა გალერეა „აკადემია +“-ში. სულ მალე გიორგი საქართველოს პირველი კალიგრაფი ხდება. არის კონკურსის „ქართული კალიგრაფია“ მრავალჯერ გამარჯვებული. საქართველოში მისი მეორე და მესამე პერსონალური გამოფენების შემდეგ, 2014 წელს, გიორგის ხელნაწერები ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში (ეგვიპტე), ქართული და არაბული ხელნაწერების ჯგუფურ გამოფენაზე იყო წარდგენილი, ერთი წლის შემდეგ კი – სუჰაიმის კულტურულ ცენტრში – „ბეთსუჰაიმი“ (ეგვიპტე, კაირო).

2016 წელს გიორგი სისაურის ხელნაწერი საჩუქრად გადაეცა რომის პაპს, ფრანცისკე I-ს. 2018 წელს, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე, კულტურული პროგრამის ფარგლებში, მისი ნამუშევრები გამოფენილი იყო ოფენბახის შრიფტის მუზეუმში. ამავე წელს, ახალგაზრდა კალიგრაფით მსოფლიოში ცნობილი მოდის სახლი „მანელი“ დაინტერესდა. 2017-18 წლებში გიორგი უნიკალური ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნის“ თანაავტორი იყო, რომლის ყდა საფრანგეთში მოღვაწე ქართველმა, მსოფლიოში აღიარებულმა მოქანდაკემ და იუველიერმა, გუჯი ამა-შუკელმა მოჭედა. როგორც ქართული ხელოვნების უნიკალური ნიმუში, ხელნაწერი დაცულია გაეროს არტ-კოლექციონში (ნიუ-იორკი, აშშ). გიორგი სისაური 5 წიგნის, 600-მდე გრაფიკული ნამუშევრისა და 200-მდე კალიგრაფიული ნიმუშის ავტორია.

მომზადდა მბაპა ყიფინაძე

